პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია: თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. მესამე სართული. რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე. ტელეფ. რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

მთავარი კანტორა: თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის — 1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტს ბოლოში — 1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან. საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ. — 1 მ. 50 კაპ., ტექსტში — 3 მან.; განცხადებები, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად — შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები — 15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 18 მაისი 1930 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 114 (2762)

## დღიური

- კომუნისტური მოძრაობა პალესტინაში.
- ვარშავაში დახურეს მემარცხენე პროფორგანიზაციები
- რეპრესიები კომუნისტური პრესის წინააღმდეგ ჩეხო-სლოვაკიაში.
- კომუნისტური რაზმები ხანკოუს უახლოვდებიან.
- კამათი საზღვაო ხელშეკრულების გარშემო ინგლისის თემთა პალატაში.
- კრიზისი პოლონეთის მრეწველობაში.
- გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი.

21 მაისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიხსნება

საქართვ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის

## მეორე საოლქო (მე-XI) კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საქ. კ. პ. (ბ) ა. კ. საოლქო კომიტეტის მოხსენება — ამხ. შ. ელიავა.
2. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის ანგარიში — ამხ. ლ. სუხიშვილი და ე. ასრიბეკოვი.
3. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის მოხსენება ამხ. იოვიძე.
4. საქ. პროფკავშირების ამოცანები რეკონსტრუქტიულ პერიოდში — ამხ. ბ. მახაძე.
5. არჩევნები.

თბილისის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი.

## სარაიონო და საოლქო პარტკონფერენციებისათვის

დაწყებული სარაიონო და საოლქო პარტკონფერენციები ადასტურებენ პარტიული მასების ღრმა ინტერესს პარტიის მე-16 ყრილობისადმი. ეს კონფერენციები ჯამს უკეთებენ სოციალისტური მშენებლობის რეკონსტრუქციის პერიოდის პირველ წლებს. სოციალისტური მშენებლობის 5 წლიანი გეგმის განხორციელების პირველი წლისწანხევრის გამოცდილების გზით პარტიული მასები, რომელნიც მონაწილეობას იღებენ მე-16 პარტყრილობისთვის მზადებაში, ამოწმებენ პარტიული ხაზის სისწორეს და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მის სწორ თუ არასწორ გატარებას.

მე-15 ყრილობისათვის პარტიულმა კონფერენციებმა შედეგების შეჯამება უნდა მოახდინონ იმ დარგში, შეამოწმონ, თუ რამდენად განმტკიცდა პარტიის ძირითადი ჩონჩხი, მისი პროლეტარული ნაწილი, რამდენად მოხდა პარტიის გადაჯგუფება დასახულ ამოცანებთან შეფარდებით, რამდენად გარდაქმნა პარტიამ თავისი მუშაობა 5 წლიანი გეგმის საუკეთესოდ შესრულების მიზნით და მასების უდიდესი აქტივობის განვითარებისათვის, რამდენად ხდება მისი ორგანიზაციის გარდაქმნა სოფლად სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანებთან შეფარდებით.

## რევოლიუციონური მოძრაობა ინდოეთში

ამერიკული გაზ. „ვაშინგტონ პოსტ“-ი სწერს: „ინდოეთის ბედ-იღბალი ახლო მომავალში გადაწყდება ბოიკოტის განგრძობით და ინგლისთან თანამშრომლობაზე ხელის აღებით, აჯანყებების და ხიშტის საშუალებით“

ახალი იერიში უმუშევართა წინააღმდეგ გერმანიაში.—1-ლ ივნისიდან უმუშევრებს უმცირებენ დახმარებას

## რევოლიუციონური ბრძოლა ინდოეთში

### შეტაკებანი პუნაში

ლონდონი, 16 მაისი. პუნაში (ბომბეის პროვინცია ინდოეთში) სამოქალაქო ურჩობის კამპანიის ორი მოხალისე შეეცადა ხელი შეეშალა პალმის წვენის შეგროვებისათვის, საიდანაც ადგილობრივ არაყს ამზადებენ. მოხალისეები დაპატიმრებს დააკავეს. მათ მიეშველენ სხვა მოხალისენი, რომლებმაც ატეხეს სროლა და გაანთავისუფლეს ისინი. ერთი დაჭრილ დაიჭრა. (ადს).

### ნაციონალური კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა

ალაჰაბადი, 16 მაისი. ალაჰაბადში შედგა სრულიად ინდოეთის ნაციონალური კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა მოტილალ ნერუს თავმჯდომარეობით. აღმასკომმა მიიღო მთელი რიგი რეზოლიუციები სამოქალაქო ურჩობის კამპანიის გასაძლიერებლად. (ადს)

### ლაშქრობა დხარსანის მარილის დეპოზე

ლონდონი, 16 მაისი. ინდოელი პოეტი ქალის ნაიდუს მეთაურობით დაწყებული ლაშქრობა დხარსანის მარილის დეპოზე მთელი პორობებში მიმდინარეობს. პოლიციამ მოხალისენი მოსწყვიტა მოსახლეობას და ამით ისინი უსაჭმელოდ და უწყლოდ დატოვა. როდესაც ნაიდუ და ლაშქრობის მონაწილენი მოუახლოვდნენ დხარსანს, პოლიციამ შეაჩერა ისინი და ალყა შემოარტყა. ნაიდუ და მისი მიმდევრები დაეშვნენ მიწაზე და ასე პოლიციის რკალში გაატარეს მთელი დღე და ღამე, მწვერვებმა და მწყურვალებმა. გათენებისას ნაიდუ დააპატიმრეს და ავტომობილით წაიყვანეს დხარსანში, მაგრამ იქ განთავისუფლეს. მოხალისენი განაგრძობენ დხარსანისკენ მიმავალ გზაზე ჯდომას. (ადს).

### „კონფერენციების სტადია“ გათავდა

„ინგლისი, — სწერს გაზეთი, — ხდება აჯერა ბოიკოტის წინაშე, რომელიც მასიურ სისხლის ღვრას აუცილებელს ხდის. ინდოეთის ბედ-იღბალი, როგორც ჩანს, ახლო მომავალში გადაწყდება ბოიკოტის განგრძობით და ინგლისთან თანამშრომლობაზე ხელის აღებით, აჯანყებების, ძალმომრეობისა და ხიშტის საშუალებით“. (ადს).

## ახალი იერიში უმუშევართა წინააღმდეგ

ბერლინი, 17 მაისი. უმუშევრობის დაზღვევის საზოგადოებრივ სამმართველოში, რომლის სათავეში სოციალ-დემოკრატიისა და პროფკავშირების ბელადები დგანან, ბრიუნინგის მთავრობის მითითებით შეიმუშავა პროექტი უმუშევართა დახმარების შემცირებისა 1 ივნისიდან. პროექტი ახლო მომავალში შეტანილი იქნება რეიხსტაგში. პროექტის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს პრუსიის მთავრობის მიერ შეტანილი მუხლი (პრუსიის მთავრობას სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობენ). ამ მუხლის მიხედვით იმ უმუშევრებს, რომლებიც დაითხოვეს წინ განუწყვეტლივ 52 კვირა არ უმუშავნიათ, ეძლევათ არა უმუშევრობის დახმარება, არამედ ეგრედწოდებული საკრიზისო დახმარება და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უმუშევრად დარჩენამდე 26 კვირას განუწყვეტლივ მუშაობდნენ. ასეთი — უკანასკნელი მუშაობის არასკმაოა სტაჟის მქონე — უმუშევრები ოფიციალური სტატისტიკითაც კი 70 პროცენტს შეადგენენ. 17 წელზე ნაკლები და 65 წელზე მეტი ასაკის მუშებს არავითარი დახმარება არ მიეცემათ. გათხოვილ მუშა ქალებს დახმარება სანახევროდ შეუმცირდებათ, თუ მათი ქმრები დახმარებას ღებულობენ. ამ ღონისძიებებით განზრახულია სახელმწიფოს დარჩეს 62 მილიონი მარკის ეკონომია.

„როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატთა ბელადები და პროფბიუროკრატები არავითარ ზომებს არ მიმართავენ იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ ახალი იერიშს უმუშევართა წინააღმდეგ. (ადს).

## „ზინოვიევის წერილი“ არასოდეს არ არსებობდა

## პოლიციის თავდასხმა

### საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ბინაზე მექსიკაში

ნიუ-იორკი, 16 მაისი. როგორც კომუნისტური „დეილი უორკერ“-ი იუწყება მექსიკის პოლიცია 30 აპრილს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ფრიდმანის დაპატიმრებასთან ერთად თავს დაესხა საბჭოთა კავშირის მექსიკის ყოფილი სრულ უფლებიანი წარმომადგენლობის სადგომს და დააპატიმრა ყველა ის მოსამსახურენი, რომლებიც დარჩნენ სრულუფლებიანი წარმომადგენლის მაკარის გამგზავრების შემდეგ. (ადს).

## ნიკარაგუაში გამოცხადებულია სამხედრო წესები

... პროვინციებში გამოცხადებულია სამხედრო წესები. მოხდა ახალი შეტაკება ნაციონალისტებს შორის. (ადს).

## კრიზისი პოლონეთის მრეწველობაში

ვარშავა, 16 მაისი. პოლონეთში საწარმოების შეჩერება გრძელდება. გასული წლის მარტში სამრეწველო საწარმოებში (რკინის გზებს გარდა) ჩაბმული იყო 500.000 კაცი. მიმდინარე წლის მარტში ამავე საწარმოებში სულ 418.000 კაცი მუშაობდა. (ადს).

## მემარცხენე პროფორგანიზაციების დარბევა ვარშავაში

ვარშავა, 16 მაისი. ვარშავაში განაგრძობენ მემარცხენე პროფორგანიზაციების აკლება-აწიოკებას, გუშინ პოლიციამ დახურა ფეხსაცმელის მრეწველობის მუშათა მემარცხენე პროფკავშირი, რომელიც ამჟამად გაფიცვას ხელმძღვანელობს. ორ დღეში სამი პროფორგანიზაციის დაკეტვის გამო, გაიმართა რამდენიმე დემონსტრაცია. პოლიციამ ყველგან გაილაშქრა დემონსტრანტების წინააღმდეგ. დიდი შეტაკება მოხდა ბუნდოველთა პროფკავშირების შენობის წინ, სადაც დემონსტრანტები მივიდნენ იმისათვის, რომ პროტესტი განეცხადებინათ ბუნდის შტრეიკბრეხერების პოლიციასთან თანამშრომლობის წინააღმდეგ. რამდენიმე მუშა დაიჭრა, მათგან ერთი მძიმედ. (ადს).

## თეთრგვარდიელი გენერლები პრაღაში

პრაღა, 17 მაისი. თეთრგვარდიელი გენერლები მილერი (კუტეპოვის მემკვიდრე) და ხოდოროვიჩი ჩამოვიდნენ პრაღაში და მოლაპარაკებას აწარმოებენ შტაბის ყოფილ უფროსთან, გაიდასთან. პარლამენტის კომუნისტმა დეპუტატებმა გარეშე საქმეთა მინისტრს და სამხედრო მინისტრს ახსნა-განმარტება მოსთხოვეს მილერის საზეიმო შეხვედრის გამო. შეკითხვა უთუოდ იქნება (ადს).

## კომუნისტური მოძრაობა პალესტინაში

დამასკი, 16 მაისი, სირიულ კლერიკალურ გაზეთ „ლ'ორიან“-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი კომუნისტური მოძრაობის შესახებ პალესტინაში. ადგილობრივი და ფრანგი ხელისუფლების გაზეთი მოუწოდებს ინგლისის და საფრანგეთის კოლონიალურ ხელისუფალთ — მიიღონ სერიოზული ზომები კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ხაიფაში, ტანთასაფარეულში მოედანზე, მრავალი ათასი კაცის თანდასწრებით, გაიმართა სახელდახელო მიტინგი. მიტინგი მოეწყო კომკავშირელი ქალის მილშტეინის სიკვდილმა, რაც შედეგად მოჰყვა მის წამებას საპყრობილეში.

პოლიცია განუწყვეტლივ აპატიმრებს მუშებს. იჭერენ ყველას, ვისზედაც კი მცირე ეჭვი აქვთ, რომ იგი კომუნისტის და პროფოპოზიციის ეტლების ან რეცეპტის წევრია.

იერუსალიმის საპყრობილეში პოლიტპატიმრებმა ერთი დღის შიმშილობა გამოაცხადეს ნიშნად პროტესტისა საპატიმრო რეჟიმის წინააღმდეგ.

იერუსალიმის ცენტრალური სატუსაღოს 24 პოლიტპატიმარი გამოვიდა საპროტესტო აქტით სატუსაღოს ადმინისტრაციის წინააღმდეგ, რომელმაც ბარბაროსული რეჟიმი შემოიღო მთელი პალესტინის სატუსაღოებში: არ ეძლევა პატიმართა სისტემატური ცემა-ტყეპასაც კი და ამისთვის ჯალათებს პასუხს არავინ სთხოვს. ასე, მაგალითად, წარსულ კვირას, გრძნობის დაკარგვამდე სცემეს იაფის სატუსაღოში ერთი პოლიტპატიმარი, რომელმაც არ მოისურვა მუხლი მოეყარა სატუსაღოს ოფიცრის წინაშე, რასაც სატუსაღოს რეგლამენტი მოითხოვს.

პალესტინაში გასაყიდად გაჩნდა მარქსის კომუნისტური მანიფესტი არაბულ ენაზე.

## კომუნისტური რაზმები ხანკოუს უახლოვდებიან

შანხაი, 16 მაისი. კომუნისტურმა რაზმებმა დაიკავეს ქალაქები სიოგაოუ და ხანჩუანი (როვე 40 მილის მანძილზე ხანკოუდან). ამ ქალაქებისათვის ბრძოლებში მთავრობის ჯარები სასტიკად დამარცხდნენ. პროვინციაში გლეხთა მოძრაობა არ ცხრება. იმპერიალისტური პრესა ურჩევს ჩინელ გენერლებს დაჩქარებით „შესწყვიტონ შინაური ომი“ და „სერიოზულად მოჰკიდონ ხელი კომუნისტების განადგურებას, ვინაიდან მათი გავლენა და ძალა განუწყვეტლივ იზრდება“. (ადს).

## რეპრესიები კომუნისტური პრესის წინააღმდეგ

პრაღა, 16 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს „რუდე პრავო“-ს სამი რედაქტორი და ერთი რეპორტიორი ამჟამად საპყრობილეში სხედან. მათ ბრალდებათ სახელმწიფო მოხელეების შეურაცხყოფა, მთავრობის წინააღმდეგ წაქეზება და სხვ.

პოლიციის განზრახვა აქვს შეიტანოს წინადადება კომპარტიის აკრძალვის შესახებ და ამ წინადადების დასასაბუთებლად იგი მასალას ამზადებს. პოლიცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აგრეთვე იმ კამპანიას, რომელიც ამჟამად რევოლიუციონურ მუშებს შორის მიმდინარეობს და რომლის მიზანიც არის სახსრების შეგროვება საბჭოთა კავშირისათვის ტრაქტორის შესაძენად.

კამპანიის ხელმძღვანელებს ხშირად იბარებენ პოლიციაში, ემუქრებიან და აშინებენ მათ. (ადს).

## „მეორეხარისხოვანი საზღვაო სახელმწიფო“

ლონდონი, 17 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: როდესაც მაკდონალდმა თემთა პალატაში გახსნა კამათი საზღვაო ხელშეკრულების ირგვლივ, იგი უარყოფდა, რომ ბრიტანეთის კრეისერების რაოდენობის შემცირება მილიებით ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით. როგორც მაკდონალდმა განაცხადა, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების საადმირალო დასათანხმდა, რომ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ინგლისს ჰყავდეს მხოლოდ 50 კრეისერი იმ პირობით, თუ ამ რიცხვში ახალი გემების ნაწილი შევა. კონსერვატორების სახელით გამოვიდა ჩერჩილი, რომელმაც განაცხადა, რომ მაკდონალდის სიტყვამ ვერ გაფანტა ის სერიოზული შიში, რასაც კონსერვატორებში იწვევს საზღვაო ხელშეკრულება, რომელიც მისი აზრით, მოწმობს, რომ ბრიტანეთი მეორეხარისხოვან საზღვაო სახელმწიფოს როლს მიიღო.

„ჩვენ, — განაცხადა ჩერჩილმა, — ვიტოვებთ უფლებას მთლიანად გადავსინჯოთ დებულება“.

ლიბერალმა ლამბეტმა განაცხადა, რომ ლიბერალები ესალმებიან ხელშეკრულებას. კამათი ხვალ კვლავ გაგრძელდება (ადს).

## საკავშირო პროფსაბჭოს მე-4 პლენუმი

მოსკოვი, 17 მაისი, გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს მე-4 პლენუმი. მოხსენება წლის პირველ ნახევარში სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების შესახებ გააკეთა ს.მ.უ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. რუხიმოვიჩმა. 1927-28 წ. სამრეწველო პროდუქციის ზრდა 25,2 პროცენტს შეადგენდა, 1928-29 წელს — 25 პროცენტს, 1929-30 წ. — 31,3 პროცენტს. მომავალ 1930-31 წელს პროდუქციის ზრდა ნავარაუდევია 40-45 პროცენტით. საერთო პროდუქციის მთელი თანხა ხუთწლედის დამლევისათვის ნავარაუდევი იყო 30 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მაგრამ მომავალ წელს ჩვენ გვექნება 26-27 მილიარდი მანეთის პროდუქცია. 1913 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქცია, გამოშვება წლის პირველ ნახევარში შეადგენს 199 პროცენტს. შეერთებულ შტატებში პროდუქციის გამოშვების პროცენტი ომის წინა დონესთან შედარებით 167-170 პროცენტს არ სჭარბობს, გერმანიაში — 160,9 პროცენტს, საფრანგეთში — 136 პროცენტს, ინგლისში — 98 პროცენტს. წლის პირველ ნახევარში ახალმა ქარხნებმა მოგვცეს მთელი პროდუქციის 14 პროცენტი, მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი 83,5 პროცენტით (250.000 კაცით) გაიზარდა; ამ უკანასკნელ ექვს თვეში ერთ მილიონზე მეტი მუშა განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადავიდა. ძირითად დარგულობის მრეწველობაში სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებაში წარმოადგენს სამრეწველო ნედლეულის ნაკლებობა და თვითეული მუშის გამომუშავების დასახულ გეგმასთან შედარებით. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 8.8 პროცენტით, გეგმით დასახული 11,5 პროცენტის ნაცვლად. თვითღირებულების შემცირების დავალების შესასრულებლად თვითღირებულება წლის მეორე ნახევარში 16-17 პროცენტით უნდა შემცირდეს. პროდუქციის ცუდი ხარისხი ზიანს აყენებს მუშის რეალურ ხელფასს და აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ვინაიდან სოფლის მეურნეობა კარგი ხარისხის მანქანებს მოითხოვს. ყოველივე ეს მრეწველობა უსახლხის ამოცანას, გარდაქმნას სამრეწველო საქმიანობა მუშაობა, უზრუნველყოს განხორციელება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისა ერთმმართველობის შესახებ და რაც შეიძლება სრულად გამოიყენონ მუშათა მასების შემოქმედებითი ინიციატივა (ადს).

## სხვადასხვა

# კომუნისტების დაპატიმრება მუკდენში. პრესის ცნობებით, მუკდენში დააპატიმრეს კომუნისტების ჯგუფი მუკდენის უნივერსიტეტის დეკანის თუ-გუნნის მეთაურობით, ამ უკანასკნელის ჩვენების მიხედვით ყველა დაპატიმრებულების დახვრეტა მოისაჯეს.

# პროფოპოზიციის გამარჯვება. ქალაქ ხანაუს (გერმანია) უდიდეს სამრეწველო საწარმოში — წერეოპის საზოგადოების ქარხანში — ფაბრზავკომის არჩევნებში პროფოპოზიციამ მიიღო 6 მანდატი შარშანდელი 4 მანდატის ნაცვლად.



## სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 15 მაისის დადგენილება

... ვალისწინებული ადგილობრივ კოოპერატიულ კავშირებთან ურთიერთობის ფორმები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ საქონლის ბრუნვის დარგში წარმოებულ პროცესებისა და ცვლილებების თავის დროზე შეტყობინებას პარტიისა და მთავრობისათვის.

დ) წინადადება მიეცეს საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოსთან და „ცენტროსოიუზ“-თან ერთად, ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და შეიტანოს საბჭოთა მეურნეობებს, რადგან სამომხმარებლო კოოპერაციის ბიუჯეტი დამძიმებულია, საჭიროდ ჩაითვალოს გადიდდეს დიფერენციალური პაი ქალაქისათვის 2 მან. 50 კაპ., საშუალო მაქსიმალური გადიდებით 10 მან.-დე მაღალ-კვალიფიციურთათვის, და სოფლისათვის — 2 მანეთით, იმ ვარაუდით, რომ ეს ღონისძიება ქალაქში ჩატარდეს 1929-30 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში, ხოლო სოფლად — მიმდინარე წლის უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში. (ადს).

## ფ. ნანსენის ხსოვნას

### „ფრიტიოფ ნანსენ“-ი

ოსლო, 17 მაისი. ნორვეგიის სამხედრო გემს, რომელიც ამჟამად შენდება, სახელად ეწოდება „ფრიტიოფ ნანსენ“-ი (ადს).

### ლენინაკანის აღმასკომის სამძიმარი

ლენინაკანი, 17 მაისი. აღმასკომმა ოსლოში გაგზავნა შემდეგი დეპეშა: „პროლეტარული ლენინაკანი თავის ღრმა სამძიმარს გამოსთქვამს უდიდესი სწავლულის, დაუღალავი მკვლევარის და საბჭოთა სომხეთის გულწრფელი მეგობრის ფრიტიოფ ნანსენის გარდაცვალების გამო. ლენინაკანი არ დაივიწყებს იმ დღეებს, როდესაც ნანსენი ჩვენში იყო და როდესაც მან მონაწილეობა მიიღო ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებაში — შირაქის არხის გახსნაში“.

## ამხ. ბლიუხერის დაჯილდოება „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით

მოსკოვი, 17 მაისი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დააჯილდოვოს „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელი არმიის სარდალი ამხ. ბლიუხერი იმ დამსახურებისათვის, რომელიც მან არმიის ოპერაციების ხელმძღვანელობის დროს გამოიჩინა. ამხ. ბლიუხერი პირველია, რომელმაც „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი მიიღო. (ადს).

## მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

### უოლენის მიერ შეთითხნილი „დოკუმენტები“

მოსკოვი, 17 მაისი. „პრავდა“-ში გამოქვეყნებულია ნიუ-იორკის პოლიციის პრეზიდენტის უოლენის „დოკუმენტები“. ერთი მათგანი, კომინტერნის აღმასკომის ყალბ ბლანკზე დაწერილი, დიპლომატიური ფოსტის საშუალებით პარიზიდან სპეციალური კურიერით ეგზავნება საულს ნიუ-იორკში. ... მელსაც ხელს აწერს იგივე ფეოდოროვი, მოგვაგონებს უხეირო ავანტიურული ფილმის ლიბრეტოს. აქ ჩვენ ვხვდებით „შემოქმედების“ ისეთ ნიმუშებს, როგორიც არის: „კომინტერნის და პროფინტერნის აღმასკომებმა დაგვავალეს ჩვენ მოგცეთ თქვენ ეს მანდატი“; აქვეა არ არსებული „ჩვენი ...

# ვემზადებით საქ. კომპარტიის (ბ) მე-VII ყრილობისათვის

## ბრძოლა მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრების და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, არის ბრძოლა პარტიის მთლიანობისა და პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარებისათვის

„ჩვენი პარტია უძლეველია იმიტომ, რომ მას აქვს უნარი ხელმძღვანელობა გაუწიოს მოძრაობას და ამავე დროს შეინარჩუნოს და გააძლიეროს კავშირი მუშათა და გლეხთა მილიონიან მასებთან“ (სტალინი)

### ლენრაიონის მე-12 პარტკონფერენცია

კამათი ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენების გარშემო

დანაკარგებთან ბრძოლა ხუსტად სწარმოებს

მასიურათ დაგრაზმოთ მუშათა მასები სოცშეჯიბრების ირგვლივ

### 26-ის რაიონის პარტკონფერენცია

კამათი ამხ. ტერ-ვართანოვის მოხსენების გარშემო

მოვამზადოთ შეცვლებაში მიმავალნი

### უკანასკნელი სხდომა

...ლაშვილი, ასლამაზოვი, კობერიძე; კვარაცხელია; არუთინოვი-ხითარიანი, ფარქოსაძე, სივენკო, ხურდა, ადამიანი, ომალოვი, კაზაროვი, ცაგურია, ადამოვი; მარდოვინა; მურადოვი; კურატაშვილი, გეორქოვი, სიხარულიე, ცინცაძე, სოხაძე, შინკორენკო, კალინინი; ხარქისოვა და შალამიანი.

არჩეულ იქნა აგრეთვე თბილისის საოლქო პარტკონფერენციაზე დასასწრებლად 149 დელეგატი, ამის შემდეგ პარტკონფერენცია დაიხურა.

### ქალაქის რაიონის პარტკონფერენცია

ამხ. ლ. ლომიძის მოხსენების გაგრძელება

მეხუთე სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. ლ. ლომიძის მოხსენების გაგრძელება ქალაქის რაიონულ კომიტეტის მუშაობის შესახებ. მომხსენებელი თავის სიტყვის მეორე ნახევარში შეეხო კულტურული მშენებლობის საკითხს, ორგანიზაციის ზრდას, თვითკრიტიკის ლოზუნგის გაშლას, კომკავშირზე პარტხელმძღვანელობას და სხვა საკითხებს.

#### გავაძლიეროთ კულტურული მშენებლობა

რაიონული კომიტეტის ყურადღების ცენტრში იდგა სასკოლო მშენებლობის საკითხები — სთქვა ამხ. ლ. ლომიძემ; უპირველეს...

...ნიერი მუშაკები, მაგრამ მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც ჯერ კიდევ ღვთისადმი რწმენას ქადაგებენ და ეკლესიების საბჭოების წევრები არიან.

#### პარტწმენდის შედეგები

პარტწმენდის მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ ჩვენ შევუდექით პარტიის რიგების წმენდას და შემოწმებას. პარტიის წმენდა ჩატარდა მუშათა ფართო მასების აქტიური მონაწილეობით. წმენდამ მრავალ საწარმოში და დაწესებულებებში გამოამჟღავნა პარტიული მუშაობის ძველი ფორმების და მეთოდების ნაკლოვანებები, ძმა-ბიჭობა და სხვა.

ორგანიზაციის ზრდა

პარტგაზეთის...

### საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშაობა

(კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მე-8 პარტკონფერენციის რეზოლუციიდან ამხ. შ. ელიავას მოხსენების გამო, საქ. კ. პ. (ბ) ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ)

შიდლოის გაზეთიდა

## საქართველოს მრეწველობა მე-7 ყრილობისათვის

III. საწარმოო გეგმების შესრულება

V. შრომის ხელი

VI. შრომის ნაყოფიერება და ხელფასი

VII. პროდუქციის თვითღირებულების შემცირება

VIII. პროდუქციის ხარისხი

IX. რაციონალიზაციისათვის ბრძოლა

X. საწარმოების 7 საათის სამუშაო და განუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანა

XI. ...

XII. შინაგანი რესურსების მობილიზაცია და მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა *)

XIII. ...

XIV. მრეწველობის კადრების მომზადება

*) 1929-30 წლის...

# ბოლშევიკური ენთუზიაზმით ვიბრძოლოთ თესვის გეგმის შესრულებისათვის

## სენაკის და ზუგდიდის მაზრებში თესვა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს

### მოსავლის აკრეფისათვის მზადებას აქედანვე უნდა შევუდგეთ

## გაზაფხულის სას.-სამ. კამპანია სამეგრელოში

(საუბარი ამხ. ს. ჯუღელთან)

თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანური კომისიის თავმჯდომარე ამხ. ს. ჯუღელი ადგილობრივად გაეცნო საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის მსვლელობას ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში. თბილისში დაბრუნების შემდეგ ამხ. ჯუღელმა ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა:

— თესვის კამპანია სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში წარმატებით მიმდინარეობს...

...მცირე ნაკვეთებზე, რაც საგრძნობლად აფერხებს მათი მუშაობის ნაყოფიერებას. ზემოხსენებულ მაზრებში არ თიპოება შემკეთებელი სახელოსნო, ხოლო ტრაქტორები უზრუნველყოფილი არ არიან მისაბმელ მანქანებით. მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, 13 მაისისათვის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მოხნული ქონდა 4.600 ჰექტარი მიწა, ე. ი. თვითეულ ტრაქტორზე მოდიოდა 100 ჰექტარი...

...ამ ნაკლის გამოსასწორებლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ აუცილებლად უნდა მიიღოს ენერგიული ზომები და უზრუნველყოს გეგმის მთლიანად შესრულება.

შემოდგომის ნათესების მდგომარეობა ხსენებულ მაზრებში სავსებით დამაკმაყოფილებელია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქ თანდათანობით იკიდებს ფეხს თავთავიანი ხორბლეულის კულტურები, რაც მიწადმოქმედების სახკომისარიატის ხაზის გამართლებად და მეურნეობის წარმოების გაუმჯობესებად უნდა ჩაითვალოს. ამაზის სამანქანო-სატრაქტორო სადგური მოწყობის სტადიაში იმყოფება. საჭირო ბინების უქონლობისა და კვალიფიციურ მუშა-ხელის სიმცირის გამო სადგურის მუშაობა უხდება მეტად მძიმე პირობებში. კოლმეურნეობათა მშენებლობაში მომხდარ ცვლილებების გამო ტრაქტორები იძულებული არიან იმუშაონ მიწის მეტად...

...საბჭოთა კავშირში დამზადებული ზოგიერთი მანქანა გაკეთებულია რბილი ლითონისაგან, რის გამოც იგი შეუფერებელია ამ რაიონისათვის.

მიწის ხვნა ამ მაზრებში ამჟამად დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. მოხნული მიწების დაფარცხვის შემდეგ ტრაქტორები გადაგზავნილი იქნებიან ქართლ-კახეთში ანეულების სახნავად. როგორც ირკვევა მუშა-საქონლის კოლონები ამ მაზრებში უკეთ არიან მოვლილი და გამოკვებილი და გაცილებით უკეთ მუშაობენ, ვიდრე სხვა რაიონებში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანია სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. გეგმა მთლიანად შესრულებული იქნება და თუ ზაფხულის განმავლობაში ნათესებს კარგი ამინდი დაუდგათ, მაზრები მოსავალსაც დიდს მიიღებენ.

## ვემზადოთ მოსავლის აკრეფისათვის

გაზაფხულის თესვა დასასრულს უახლოვდება. მახლობელ დღეებში თითქმის ყველა რაიონები დაამთავრებენ თესვას. ამრიგად, საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ შევანელოთ დაწყებული მუშაობის ტემპი და გულხელდაკრეფილი უცადოთ მოსავალს.

ამჟამად უკვე პრაქტიკულად უნდა დაისვას საკითხი მოსავლის აკრეფისათვის მზადების შესახებ. უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რომ სასოფლო - სამეურნეო კამპანიის ეს მეორე ნაწილიც ისეთივე წარმატებით იქნეს შესრულებული, როგორც თვით თესვა. ამისათვის აუცილებელია დროზე შევუდგეთ სამზადისს და გავითვალისწინოთ ყოველგვარი მოსალოდნელი შემაფერხებელი მიზეზები, რათა დროულად აღმოვფხვრათ ისინი. მოსავლის აკრეფისათვის მზადების დაჩქარება მით უფრო აუცილებელია, რომ ახლო ხანში დაიწყება შემოდგომის ნათესების მოსავლის აკრეფა და საჭიროა, რომ ეს მუშაობა უზრუნველყოფილ იქნეს ყველა საჭირო იარაღებით და მასალებით.

მოსავლის აკრეფის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის აუცილებელია ეხლავე შევუდგეთ სათანადო სამუშაო გეგმების შედგენას. ყველა სოფლის საბჭოებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა და კოლმეურნეობებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ მოსავლის აკრეფის გეგმების დამუშავება.

კამპანიის წარმატებისათვის აუცილებელია აგრეთვე სათანადო მანქანა-იარაღების დროზე მომარაგება და განაწილება. ნაწილი მანქანებისა ჯერ კიდევ შემოდგომაზე და გაზაფხულზე იქნა განაწილებული, მაგრამ ეს არ კმარა. მანქანების მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ ადგილობრივ უზრუნველყოფილი იქნენ ხათიბი, ძნის საკრავი, საცეხვი და სხვ. მანქანებით. ეს სამუშაო დაჩქარებით უნდა იქნეს ჩატარებული, რადგან ზოგიერთი რაიონები უკვე იგვისში იწყებენ მკას. ამას გარდა საჭიროა, რომ საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის სპეციალური კავშირები ეხლავე შეუდგნენ მოსავლის ასაკრეფ და ხორბლის საწმენდ მანქანების შეკეთებას.

ვინაიდან შესაძლებელია ყველა რაიონები ვერ იქნენ სათანადოთ უზრუნველყოფილი საჭირო მანქანებით, აუცილებელია მიღებული იქნეს ზომები არსებული მანქანების მაქსიმალურად გამოსაყენებლად, რისთვისაც უნდა გაძლიერდეს მათი დატვირთვა.

მოსავლის აკრეფის კამპანიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომის ორგანიზაციას. ამიტომ კოლმეურნეობათა ცენტრი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ამ საკითხის დამუშავებას და დროზე მიაწოდოს ადგილებს კოლმეურნეობებში მოსავლის აკრეფის ორგანიზაციის სქემა და წესები, მოსავლის აკრეფის კამპანიის განმავლობაში კოლმეურნეობებში უნდა მოეწყოს ბრიგადები სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად (მკა, ცხვა, თიბვა) და მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რომ ეს ბრიგადები მინდვრად მუშაობის დროს უზრუნველყოფილი იქნენ საჭირო მასალებით (ტომრები, შპაგატი, საწვავი მასალა მანქანებისათვის და სხვ.) და საჭმელით. აქ დიდი დახმარების გაწევა შეუძლია სამომხმარებლო კოოპერაციას მოძრავი სამზარეულოების მოწყობით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინდივიდუალურ მეურნეობებს. კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებმა მუშაობის დამთავრების შემდეგ თავისი მანქანები უნდა დაახმარონ ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს. მანქანა-იარაღების მიწოდების გარდა საჭიროა ღარიბებს მეურნეობებს დახმარება გაეწიოს მუშა-ხელითაც.

მოსავლის აკრეფის კამპანიის დროს ფართოდ უნდა გავავრცელოთ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის პრაქტიკა, როგორც კოლმეურნეობების შიგნით, ისე ცალკე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის. კოლმეურნეობების გამგეობებმა უნდა უზრუნველყონ წარმოების ორგანიზაციის ამ ძირითად მეთოდის რაც შეიძლება ფართოდ გამოყენება.

შ—ა.

## ქარხლის თესვის გეგმა შესრულებულია

იმას წინათ გამოყოფილ იქნა საუწყებათაშორისო კომისია, რომელშიაც შევიდნენ — საქ. ს. მ. უ. ს., საქ. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის, მემინდვრეთა კავშირის და შაქრის საკავშირო ტრესტის წარმომადგენლები, რომლებმაც გამოიკვლიეს შაქრის ჭარხლის ნათესები გორის ოლქში.

კომისიამ გამოარკვია, რომ ჭარხლის თესვის გეგმა შესრულებულია და გეგმით გათ...

...პირველი დამუშავება, რისთვისაც საჭიროა სპეციალური პატარა თოხები. ასეთი თოხები ადგილობრივ ბაზარზე არ მოიპოვება და ამიტომ თოხების საჭირო ზარტია გამოწერილ იქნა მოსკოვიდან, თოხების მიღებას დააგვიანდება 1-ლ ივნისამდე, ხოლო თუ ამ დრომდე არ მოესწრო პლანტაციების გაწმენდა და დამუშავება მოსავალი მთლიანად გაფუჭდება.

კომისიამ, საჭიროდ ცნო, რომ ხაპლანტაციო თოხები დამზადებულ იქნეს დაუყოვნებლივ ადგილობრივადვე და არ დაყოვნდეს ჭარხლის ნათესების დამუშავების საქმე.

## რამდენი დაითესება მომავალ შემოდგომაზე

ამიერ - კავკასიის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით, 1930 წლის შემოდგომაზე ამიერ - კავკასიაში დაითესება დაახლოვებით 1.250.858 ჰექტარი, რაც 1929 წელთან შედარებით გადიდებას იძლევა 6,3 პროც. აქედან პური დათესილი იქნება 981.574 ჰექტარი, ქერი — 250.595 ჰექტარი, ჭვავი — 13.178 ჰექტარი, შვრია — 5.385 ჰექტარი, ვიკა — 121 ჰექტარი.

საქართველოში შემოდგომის ნათესების სივრცე გახსაზღვრულია 267.253 ჰექტარით. შარშანდელთან შედარებით ნათესების სივრცე არ იქნება გადიდებული, რადგან 1929-30 წელს ნათესების ფართობი გადიდებულ იქნა 15 პროც. გეგმით გათვალისწინებულ 7 პროც. მაგივრად და შემდგომი გაფართოვება გავლენას იქონიებს გაზაფხულის ტექნიკურ კულტურებზე.

აზერბეიჯანში წელს შემოდგომაზე დათესილი იქნება 869.800 ჰექტარი; 1929-30 წლის სივრცესთან შედარებით ნათესების ფართობი გადიდებული იქნება 3,5 პროც.

სომხეთში დათესილ უნდა იქნეს 113.800 ჰექტარი — გადიდება 9,2 პროც.

## ყველა კუთხიდან

# სოფ. ფერსათის არტელში ამჟამად გაერთიანებულია 130 კომლი. არტელს მიღებული აქვს წესდება, ხოლო წესდებით გათვალისწინებული მუხლი, კოლექტივიდან გასულთათვის მიწების მეოთხედის დატოვებაზე, არ სრულდება. ვერ მოხერხდა ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფის ჩამოყალიბება, რაც კულაკებს მავნებლურ თარეშის საშუალებას აძლევს.

გამგეობის წევრი გურასიმე მშვენიერაძე და სხვები არტელში დარიგებას მიტყან წინააღმდეგნი არიან. „რა გაიჩნიათ, რომ მივიღოთო“, ასე ასაბუთებენ ისინი თავიანთ მოქმედებას. არტელმა მიიღო 25 გუთანი და 2 სათესი მანქანა, 3 რკინის ფარცხი, 10 ეტრმოროლი და 8 გოგირდის მანქანა. აქედან ფარცხები და გუთნები დღემდე გამოუყენებელია. ეს იმ დროს, როცა მიწას კავებით ხნავენ.

საჭიროა არტელის გამგეობის გადახალისება და, საერთოდ, მისი მუშაობის გაჯანსაღება.

რ—ი.

### 49 სარძევე არტელი

ცხინვალი, 17 მაისი. 13 მაისის ცნობებით, სამხრეთ-ოსეთის მთიან ნაწილში დაარსდა 49 სარძევე არტელი და მერძევე-მესაქონლეთა ამხანაგობა, რომლებშიაც გაერთიანებულია 2087 მეურნეობა და 16.000 სული მეწველი საქონელი. (ადს).

# დაიწყო ხე-ტყის დამზადება-დაცურების ერთთვიური

## უზრუნველვყოთ დამამზადებელი ორგანიზაციები მანქანა-იარაღებით, კარგი გზებით და კვალიფიციურ მუშაკებით

### სამომხმარებლო კოოპერაციამ უნდა მიაწოდოს დამამზადებელ რაიონებს სურსათ-სანოვაგე

## ერთთვიურის მიზანი და ამოცანები

დღემდე ხე-ტყის დამზადებისა და დაცურების საქმეს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. მიმდინარე წლის ხე-ტყის დამზადებამ ვერ შესძლო დაეკმაყოფილებინა ექსპორტისა და ხე-ტყის დამმუშავებელი ორგანიზაციების მოთხოვნილება. ხე-ტყის დაცურება ხაძაგლად სწარმოებდა: ხშირად დამზადებული ტყე ლპებოდა მოჭრის ადგილას, ხოლო ხე-ტყის სახერხი ქარხნები მასალების უქონლობის გამო...

...ერთთვიურის განმავლობაში საპროფკავშირო და სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა შექმნან ტყის მჭრელთა, მზიდავთა და მეტივეთა მუდმივი ძირითადი კადრი. ეს კადრები შევსებული იქნებიან მოჯამაგირეების და ღარიბ-საშუალო გლეხთა წრეებიდან და გაივლიან სპეციალურ კურსებს.

ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციები უნდა შეუდგნენ ხე-ტყის დამზადების საქმის ყველა სტადიების წესიერად მოწყობის საკითხთა დამუშავებას. ასეთი საკითხებია: მექანიკური ხერხვა, გზების გაყვანა, ტრაქტორების გამოყენება ხე-ტყის გადასაზიდათ, საბაგირო გზების, ღარების და სხვათა მოწყობა.

ერთთვიურის დროს დიდი მუშაობა უნდა გასწიოს კოოპერაციამ, კერძოთ ცეკავშირმა. ხე-ტყის დამზადების ახლო-მახლო ადგილებში უნდა გაიშალოს დუქნების და სასადილოების ქსელი, რისთვისაც კოოპერაცია თავის მხრით დახმარებას მიიღებს სამეურნეო ორგანიზაციებისაგან. ერთთვიურის ჩატარების დროს ცენსახკომმა ხე-ტყის დამზადების ადგილები უნდა უზრუნველყოს მოთოავი მედიკურ-სანიტარულ...

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს დირექციამ უარი განაცხადა გასცეს სახსრები ისეთი გაზეთის გამოსაცემად, რომელიც სამსახურს გაუწევდა გზისათვის დანიშნული ხე-ტყის დამზადების საქმეს. რკინის გზის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო გზათა სახალხო კომისარიატმა და ს.მ.უ. საბჭომ კატეგორიული დირექტივა გამოსცეს იმის შესახებ, რომ მაქსიმალური ნივთიერი დახმარება უნდა აღმოეჩინოს ორგანიზაციებს ერთთვიურის ჩატარების დროს.

## დროა ხე-ტყის დამზადებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს

ხე-ტყის დამზადება - გადაზიდვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ამოცანაა. დღემდე ხე-ტყის მოჭრისა და გადარაზიდვის საქმე არ იპყრობდა სათანადო ორგანოების ყურადღებას. ეს მუშაობა სწარმოებდა ძველი, დრომოჭმული წესით. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ხე-ტყის დამზადება-დაცურების საქმეს თითქმის არ შეხებია სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისაკენ მიმართული მძლავრი მუშაობა. ტექნიკური ჩამორჩენილობა, მუშა-ხელის მოუწყობლობა, ორგანიზაციული უთავბოლობა, ადმინისტრატიული ხელმძღვანელობის მოუწესრიგებლობა, — აი რა ახასიათებს ხე-ტყის დამზადების საქმეს.

ამიტომ გასაკვირი სრულიადაც არ არის, თუ საქართველოში, რომელიც ასე მდიდარია ტყეებით, ხე-ტყის ქარხნები ზოგჯერ თვეობით დგანან მასალების უქონლობის გამო. გასაკვირი არ არის, თუ საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციები ზოგჯერ ციმბირის ხე-ტყით სარგებლობენ, რადგან ადგილობრივი ხე-ტყე, როგორც ფასით, ისე ხარისხით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

თავის-თავად ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა მომავალში მოსათმენი არაა. დროა ხე-ტყის დამზადება-დაცურების საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. ამ მხრივ მაგალითი უნდა ავიღოთ მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებიდან, სადაც ხე-ტყის დამზადებისა და გადაზიდვის საკითხებს უდიდესი ყურადღება ექცევა.

ხე-ტყის დამზადება - დაცურების ერთთვიური, რომელიც საქართველოში მიმდინარე წლის 15 მაისიდან დაიწყო, პირველყოვლისა უნდა გამოყენებულ იქნას იმ მხრივ, რომ არსებითი გარდატეხა მოხდეს მეურნეობის ამ მეტად ჩამორჩენილი დარგის გასაჯანსაღებლად. ყველა სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციამ, რომელსაც კავშირი აქვს ტყის ექსპლოატაციასთან, უაქტივესი მონაწილეობა უნდა მიიღოს ერთთვიურში. სამუშაო აქ იმდენად ბევრია, რომ მარტო სატყეო ტრესტი და მიწა-ტყის პროფესიონალური კავშირი, ყველაფერს ვერ გასწვდება.

რაში გამოიხატება ერთთვიურის ჩატარების პრაქტიკული ამოცანები? უმთავრესი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება ერთთვიურის ჩატარების დროს, ეს არის შემდეგი: საექსპლოატაციო ტყეების აგარაკებში გზების გაყვანა, ღარების მოწყობა - გასუფთავება, დამამზადებელ ორგანიზაციებისათვის საჭირო რაოდენობით იარაღ-მანქანების მიწოდება, მუშა-ხელის შერჩევა, ტყის მჭრელთა და დამამზადებელთა კვალიფიციურად მომზადებული კადრის შექმნა, მუშა-ხელის უზრუნველყოფა პირველსაჭიროების პროდუქტებით, კულტურულ - აღმზრდელობითი და პოლიტიკური მუშაობის გაცხოველება ტყის მუშაკთა შორის.

აშკარაა, რომ ერთი თვის განმავლობაში შეუძლებელია ყველა ამ საკითხების საბოლოოდ მოგვარება. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ერთთვიურის განმავლობაში მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს ტყის მეურნეობის გაჯანსაღება - განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა ჩატარებას. ეს კი შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ სათანადო სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები გაიმსჭვალებიან დასახულ ამოცანათა მნიშვნელობით და შესაფერ პრაქტიკულ დასკვნას გააკეთებენ აქედან. მთელი ძალ-ღონე ხე-ტყის დამზადება - დაცურების ერთთვიურის წარმატებით ჩატარებისათვის.

## სოცშეჯიბრების ხელისშემშლელნი

მშენებელ მუშათა შორის დამკვრელი ბრიგადები და ჯგუფები ხშირად იმლებიან... დებს მასალებს.

მაგალითად, თბილისის აგურის ქარხნების მუშები აგურის ჩამოყალიბებას გეგმით გათვალისწინებულ ვადაზე 13 დღით ადრე შეუდგნენ. აღმოჩნდა, რომ არც წყლით და არც მოედნებით ისინი უზრუნველყოფილნი არ იყვნენ, თუმცა სამეურნეო მუშაკებს გაფრთხილება წინდაწინ ჰქონდათ მიცემული. ამან გამოიწვია ის, რომ მაშინ, როდესაც აგურის უმწვავეს დეფიციტს განვიცდით, გამოყენებულ არ იქნა ერთი მილიონზე მეტი ცალი აგურის გეგმის გარეშე დამზადების შესაძლებლობა.

ქსანის აგურ-კრამიტის ქარხანაში მუშები სამუშაო დროის ნახევარზე მეტს მოცდარი არიან, ვინაიდან ხან მექანიზმის სათადარიგო ნაწილები არ მოიპოვება, ხან მასალები. პროფორგანიზაციები ზოგჯერ აფერხებენ მუშათა ინიციატივას. სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ... თბილისში, საოლქო კომიტეტის მუშაკი ასეთ აგიტაციას ეწეოდა: „როგორ შეიძლება შეჯიბრება, როდესაც ჩვენთან სანარდო მუშაობაა“-ო. მშენებელთა კავშირის სოხუმის განყოფილების თავმჯდომარე თითონ ლოთობისა და ხულიგნობის „შეჯიბრებაში“ იყო ჩაბმული. საგზაო-სატრანსპორტო სამმართველოში ადგილკომი აფერხებდა შეჯიბრების გაშლას, იგი ჰქმნიდა „ცენტრალურ კომისიებს შეჯიბრების სახელმძღვანელოდ“, რომლებშიაც შედიოდნენ სამმართველოს განყოფილებათა გამგეები და უფროსები.

როდესაც რიონჰესის მშენებლობაზე ირჩეოდა ინჟინერ-ტექნიკოსთა შორის შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლის საკითხი, ტექნიკოსმა პოპოვმა განაცხადა: „ეს მუშების საქმეა და არა სპეციალისტებისო“.

## სატყეო ტრესტის მიზეზით

### საბინაო მშენებლობა ჭიათურაში ფერხდება

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ადმინისტრაციამ მიმართა საქართველოს სახკომსაბჭოს, საქ. პროფსაბჭოს, ...

...უმაღლესი ორგანოების დადგენილებით ამ ხელშეკრულების თანახმად სატყეო ტრესტისათვის დაკისრებული ვალდებულებანი გადაეცა საქ. სახვაჭრობას, რომელმაც ამას წინად განაცხადა, რომ მესამე და მეოთხე კვარტალში მას შეუძლია მიაწოდოს მარგანეცის ტრესტს მხოლოდ დაახლოებით 2 ათასი კუბ. მეტრი დახერხილი ხე-ტყე. ეს იმას გამოიწვევს, რომ მიმდინარე წელს ტრესტი საბინაო მშენებლობის პროგრამას ნახევრადაც ვერ შეასრულებს. ტრესტი აცხადებს, რომ „საბინაო მშენებლობა ჭიათურაში ისედაც ჩამორჩენილია, რაც სხვადასხვა ორგანიზაციების, განსაკუთრებით პროფკავშირების, სავსებით სამართლიან საყვედურებს იწვევს. ამიტომ ტრესტი სთხოვს სათანადო ორგანოებს — „ჩაერიონ ამ საქმეში და მიიღონ მათზე დამოკიდებული ზომები, რათა მარგანეცის ტრესტმა მიმდინარე წელს მიიღოს მასალის საჭირო რაოდენობა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ტრესტი იძულებული იქნება მოიხსნას ყოველგვარი პასუხისმგებლობა“.

## მუშკოოპის მშენებლობა

### მარეუხნეში ბრძოლდება

მუშკოოპის გარეუბნების მეურნეობათა მშენებლობას მთელი რიგი სერიოზული დაბრკოლებები გადაეღობა. წითელ წყაროში საბოსტნედ გადადებული ნაკვეთები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შირაქის ნავთის სამუშაოთა გაფართოების გამო. კახეთში (წნორის წყლის მახლობლად) მუშკოოპისათვის კარტოფილის დასათესად გადადებული 1.000 ჰექტარი განსაზღვრულობული მიწა ანგარიშიდან გამოირიცხა და მუშკოოპს სხვადასხვა რაიონებში მოუხდა თესვა. მუშათა კოოპერაციის ცენტრალური სექციიდან სთესლე კარტოფილის გაცემა დაგვიანებით და არასაკმაო რაოდენობით მოხდა. მუშკოოპს მიერ ბაშკიჩეთის რაიონში შესყიდული 350 სული მეწველი საქონელი უმაღლესი ორგანოების დადგენილებით საქციო საზოგადოება „სკოტოვოდ“-ს გადაეცა.

გარეუბნების მეურნეობისა და ბოსტნეულობის მიმართულებით საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის მთლიანად განხორციელებისათვის საქართველოს პროფსაბჭოს ... შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი. მუშკოოპს წინადადება მიეცა — დაამთავროს გეგმა საბჭოთა მეურნეობის ... სოლანლუღში, უკვე გადადებულ 5.000 ჰექტარიან ნაკვეთზე; არა უგვიანეს 1931 წ. გაზაფხულისა აქ სხვადასხვა კულტურებისათვის დამუშავებულ უნდა იქნას 500 ჰექტ. არა უგვიანეს 1931 წლის ზაფხულისა უნდა განხორციელდეს მეწველი საქონლის რიცხვის შევსება 2,500 სულამდე, კვერცხების მდებელი ქათმების რიცხვისა—15 ათასამდე. და გასასუქებლად მიწოდებულ უნდა იქნას 3 ათასი სული ღორი და 4 ათასი გოჭი ... მეურნეობებიდან. მუშკოოპმა აგრეთვე უახლოეს მომავალში უნდა შეისწავლოს საკითხი სარძეო ფერმის მოწყობისა ყაზბეგის რაიონში —500 სული ძროხით.

# მოსკოვის პირველი სამხატვრო თეატრის გასტროლები

## „აღსავლის კარებთ ან“—კნუტ ჰამსუნისა

თავის დროზე კნუტ ჰამსუნის დრამა— „აღსავლის კარებთან“ გ. პლეხანოვმა უდიდეს ლიტერატურულ შეცდომად ჩასთვალა. და ეს იმიტომ, რომ დრამის მთავარი გმირი ივარ კარენო პიესაში გვევლინება, როგორც ნამდვილი რეაქციონერი, პროლეტარიატის წინააღმდეგ მებრძოლი. ფილოსოფიის კანდიდატის ივარ კარენოს „თავისუფალი აზრები“, პიმართული „უმრავლესობის“ განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ, ბურჟუაზიის მოქმედების პროგრამას გამოხატავდა, პოლიანად მეშჩანობის სულით იყო გამსჭვალული.

ამავე დროს გამოჩენილი მწერლის ნაწარმოებში პლეხანოვმა დაინახა მეორე დრამატიული საწყისი. ეს არის გლეხის ქალის ელინას (კარენოს ცოლის) სულიერი მოძრაობის ... და ნივთები თავისი პირვანდელი, გაშიშვლებული სახით გვევლინებიან. მთავარი, რაც უდიდესი ყურადღების ღირსია და რაც მაყურებელს იზიდავს—ეს აქტიორთა შემოქმედებაა. მსახიობის თამაშში განდევნილია ყალბი პათოსი, ცრუ თეატრალობა. თვითეული აქტიორის ჟესტი მრავალჯერ განზომილი და აწონილ-დაწონილია.

აქ პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს დიდი მსახიობის ვ. კაჩალოვის შესანიშნავი თამაში კარენოს როლში. როგორც სწორად იყო აღნიშნული ცნობილი თეატრალის კუგელის მიერ კაჩალოვის თამაშში სწარმობს ratio —ინტელექტი. სამხატვრო თეატრის დამახასიათებელი ტენდენცია — რაციონალური საწყისი, კაჩალოვმა დიდის ხელოვნებით განახორციელა.

...თვის. ამ კოლიზიის გაშლაში ავტორმა გამოიჩინა უდიდესი მხატვრული ნიჭი.

სამხატვრო თეატრს აღებული აქვს დრამის ჯანსაღთაობის ეს მეორე ხაზი. კარენო თეატრის გამოყვანილი ჰყავს როგორც მეოცნებე, ყოველგვარ რეალურ ხედვას მოკლებული „საწყალობელი“. ამდენად კაცობის როლის ის ტრაქტოვკა, რომელიც სამხატვრო თეატრის დადგმაშია მოცემული არსებულ სინამდვილისადმი ლიბერალურად განწყობილ ინტელიგენტის სულიერი ტკივილების დახატებაა და სხვა არაფერი. ეს უკვე ჰამსუნის „მეორე დრამაა“, რომელიც დაწერილია ძლიერ ძველ და ყოველთვის ახალ თემაზე... ქალის სიყვარულის მოტივზე.

დრამა „აღსავლის კარებთან“ დადგმულია ნატურალისტური სტილით. ყოველი დეტალი დიდის უბრალოებით არის დამუშავებული. „პირობითი“ მომენტები უარყოფილია.

უაღრესად დიდი შთაბეჭდილება დასტოვა აგრეთვე ქ. ელანსკაიამ ელინას როლში. ვფიქრობთ, რომ უკეთესად წარმოუდგენელია ამ როლის მეტი სიძლიერით განსახიერება. უბრალო გლეხის ქალი, რომელიც მოთავსებულია ფილოსოფიის კანდიდატის კაბინეტში, მორალურად სავსებით სადი ელინა კარენო ... ბით—ასეთია ელანსკაიას მიერ შექმნილი პლასტიური სახე. იგი იტაცებს მაყურებელს განცდათა უშუალობით და ხათელი ხედვით.

კარგი იყო აგრეთვე სტანიცინი ენდრე ბონდეზენის როლში — ეს რელიეფურად ჯამოკვეთილი უპრინციპო ჟურნალისტის ტიპი.

დახარჩხებში აღვნიშნავთ გერასიმოვს — ერვენის როლში, ქალევას — ინგებორგის როლში.

დ. დ—ძე.

## ახალი რკინისგზების მშენებლობა საქართველოში

ამიერ - კავკასიაში ახალი რკინის გზების სამშენებლო სამმართველო შეუდგა გამოკვლევების შედეგათ შეგროვილი მასალების დამუშავებას საქართველოში რკინის გზის ახალი ხაზების გასაყვანათ.

სამმართველოს დავალებული აქვს მიმდინარე სამეურნეო წლის ბოლომდე დაამუშაოს ოთხი ახალი რკინის გზის გასაყვანი პროექტი იმ ვარაუდით, რომ მომავალ სამეურნეო წელში შესაძლებელი იქნეს გზების გასაყვანათ სამშენებლო სამუშაოების დაწყება.

მომავალი წლის განმავლობაში, თანახმად უმაღლესი ორგანოების დადგენილებისა, უნდა იქნეს დაწყებული შემდეგი რკინის გზის ხაზების გასაყვანი სამუშაოები: სამტრედია—მათხოჯი 19 კილომეტრის მანძილზე, გორი—ცხინვალი 30 კილომეტრი, თელავი — ახმეტა 22 კილომეტრი და ოზურგეთი — ჩოხატაური დაახლოებით 25 კილომეტრი.

ყველა ჩამოთვლილი რკინის გზების გასაყვანად უკვე ჩატარებულია წინასწარი გამოკვლევები და ახლო ხანში დაიწყება შესაფერი პროექტების დამუშავება. სამტრედიიდან მათხოჯამდე რკინის გზის ხაზის გაყვანის პროექტი უკვე დამუშავებული და დამტკიცებულია. მომავალი წლის საკონტროლო ციფრებში შეტანილია 1,600.000 მანეთი გზის გასაყვანი სამუშაოების შესასრულებლად.

ამჟამად ეს საკითხი დროებით შეჩერებულია, რადგან ქუთაისის საოლქო აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა, რათა სამტრედია-მათხოჯის რკინის გზის მიმართულება შეცვლილ იქნეს სამტრედია-ტოროსის ხაზით. აღნიშნული საკითხის დამუშავება სწარმოებს სახ. საგეგმო კომისიაში. როგორც სამტრედია - მათხოჯის, ისე თელავ-ახმეტის რკინის გზები გაყვანილი იქნება მხოლოდ სატყეო მასალათა გადაზიდვის გაუმჯობესების მიზნით.

ოთხივე ზემოთჩამოთვლილი რკინის გზების გაყვანა უნდა დამთავრდეს ხუთწლედის ბოლომდე.

ამჟამად შირაქის ველზე ნავთის სამუშაოთა დაწყების გამო, დაისვა საკითხი შირაქის რკინის გზის გაყვანის შესახებ. ვინაიდან უკვე გამორკვეულია, რომ შირაქის ნავთის წყაროებს აქვთ საექსპლოატაციო მნიშვნელობა და უახლოესი წლის განმავლობაშივე საჭირო გახდება შირაქიდან ნავთის გადმოზიდვის მოგვარება, ამავე დროს კი შირაქ-თბილისის ნავთსადენის გაყვანა პირველ ხანებში არ იქნება მიზანშეწონილი, ამიტომ აუცილებლათაა ცნობილი რკინის გზის ხაზის გაყვანა.

ამ მიზნით შესაფერი წინასწარი გამოკვლევები დაწყებული იქნება მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში.

## მალარიასთან ბრძოლა შავი ზღვის სანაპიროებზე

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი შავი ზღვის სანაპიროებზე მალარიასთან ბრძოლის შესახებ. თათბირზე გამოირკვა, რომ ზაფხულობით შავი ზღვის სანაპიროებზე მდებარე კურორტებს დიდძალი მშრომელი მოსახლეობა აწყდება, მაგრამ დასვენებისა და გამოჯანსაღების მაგიერ მოაგარაკეები ხშირად ... ხდებიან მალარიით.

ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტმა შეისწავლა შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე მალარიის გავრცელების საკითხი და გამოარკვია, რომ ეს კურორტები (ქობულეთი, ციხისძირი, ახალი ათონი, სოჭი და სხვ.) ვერ იმყოფებიან სათანადო სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაში და არ არიან შესაფერისად კეთილმოწყობილნი. ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობს მალარიის გამავრცელებელი კოღოების („ანოფელესი“) გავრცელებას.

თათბირმა წინადადება მისცა ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის აჭარისტანის განყოფილებას და აფხაზეთის ჯანმრთელობის ორგანოებს, რომ მომავალი საკურორტო სეზონისათვის მიიღონ ... ბა მალარიის გავრცელების წინააღმდეგ.

თათბირის დადგენილებით ყველა კურორტები უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ სათანადო რაოდენობის ქინაქინით. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს კი ეთხოვა მიიღოს ზომები, რომ ქინაქინის მიღება არ დაგვიანდეს და მისი განაწილება ადგილებს შორის დროზე მოხდეს.

## პროკურატურის და სასამართლოს აპარატის წმენდის შედეგები

პროკურატურისა და სასამართლოს აპარატის გამწმენდმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და თავისი დასკვნები გამოაქვეყნა პროკურატურისა და სასამართლოს თანამშრომელთა საერთო კრებაზე.

კომისიის დასკვნით, პირველი კატეგორიით მოხსნილია სანოტარო კანტორის გამგე ხაბა შახნოვიჩი. გამოირკვა, რომ მას არქივიდან საქმეები სახლში მიჰქონდა და აცნობდა დაინტერესებულ პირებს. შახნოვიჩს არქივში მყოფ საქმეების დაინტერესებულ პირებთან ჰქონდა კავშირი, ხშირად ქეიფობდა მათთან და სხ. დამტკიცდა, რომ იგი მექრთამე და ყოფილი პოლიციელია.

მეორე კატეგორიით მოხსნილი არიან: პატენკოვსკი კაზიმირი (სასამართლოს აღმასრულებელი)—როგორც ძველი ჩინოვნიკი, კომბინატორი, გამფლანგველი, არ იცის რა განსხვავებაა ძველ და ახალ კანონებს შორის და ძველსა და ახალ აღმასრულებლებს შორის.

ხაჩატუროვი არუთინ—(სასამართლოს დამლაგებელი) დამტკიცდა, რომ იგი სამსახურში ხშირად მთვრალი მოდის, სამსახურის საათებში დროს ატარებს როსკიპ ქალებთან, ...

მანუკოვა სათენიკ—სამსახურისადმი გულგრილი მოპყრობის, დავალებების შეუსრულებლობისა და ინტრიგანობისათვის. მანუკოვა პროტექციას უწევს ნაცნობებს და დასცინის დაწინაურებულებს.

დილმელაშვილი (საქმის მწარმოებელი), როგორც სამსახურისადმი გულგრილი, ზარმაცი, ამაყი, შრომის დეზერტირი, სუსტი მუშაკი და ინტრიგანი.

კოკილაძე გერონტი (სასამართლოს უფროსი მდივანი), როგორც კარიერისტი. მოხუცებულების მიმართ უხეში და ინტრიგანი. დამტკიცდა, რომ კოკილაძე იპარავდა საბუთებს, საკანცელარიო ნივთებს, ადგენდა ყალბ ცნობებს და სხ.

ნიკოლაიშვილი მერი —სამსახურისადმი გულგრილი მოპყრობისა და ყოყოჩობისათვის. ნაცნობებს უწევდა აგრეთვე პროტექციას.

შალვა ლორთქიფანიძე (უსინათლოთა სამმართველოს გამგე) როგორც გამფლანგველი, მოხუცებულების მიმართ უხეში და საქმის გამჭიანურებელი. ...

# საერთაშორისო მიმოხილვა

## (კვირიდან—კვირამდე)

### აჯანყება ინდოეთში, მეორე ინტერნაციონალი, ერთა ლიგა.—ეკონომიური ომი კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის.—ლაყბობა ევროპის ფედერაციის შესახებ.—ომის წახალისება მშვიდობიანობის განმტკიცების საბაბით. — იტალია-საფრანგეთის საზღვაო მეტოქეობა

ინდოეთში გრძელდება აჯანყებები და სისხლისმღვრელი შეტაკებები. ქალაქები და სოფლები ხელჩართულ ბრძოლების შემდეგ ხელიდან ხელში გადადიან. იზრდებიან გლეხთა პარტიზანული რაზმები...

...ხების ხარჯზე. ბოლოს, მეორე ინტერნაციონალის მეთაურებს „ავიწყდებათ“ ინდოეთის დამოუკიდებლობა და ამ ქვეყნისათვის „ავტონომიური მთავრობის“ მეტს ვერაფერს იმეტებენ.

...პორტი უკიდურესობამდე შეამციროს. მაგ., ამერიკის სენატმა ამ რამოდენიმე ხნის წინად მიიღო გადაწყვეტილება 226 პროც. გაადიდოს ტარიფი საფრანგეთის ნაქარგ ნაწარმოებზე...

...პროექტით გამოდის? რა თქმა უნდა, არა მშვიდობიანობის განმტკიცება, თუმცა ამ გზით საფრანგეთის მესვეურები ლაშობენ მშვიდობიანობის მოციქულთა სახელის დამსახურებას და მასების მოტყუებას. მათი მთავარი მიზანია ვერსალის სისტემის გამაგრება, ამ სისტემით საფრანგეთისათვის მინიჭებულ ჰეგემონიის როლის შენარჩუნება და გაძლიერება დასავლეთ ევროპაში. იგულისხმება, რომ საფრანგეთი, როგორც ევროპის ფედერაციის ინიციატორი, უნდა იყოს მისი ხელმძღვანელი და საყრდენი ძალა. ამნაირად ის მოწადინებულია თავის ეკონომიურ-პოლიტიკურ გავლენას უფრო, ვიდრე დღემდე, დაუმორჩილოს ... ქვეყნები.

ფინანსიური დახმარება უნდა აღმოუჩინოს იმ სახელმწიფოს, რომელსაც ომის საფრთხე მოელის ან რომელსაც თავს დაესხმიან. გარეგნულად ეს ღონისძიება თითქო სამშვიდობო ხასიათისაა და ვითომ ომის საშიშროების შემცირებისკენაა მიმართული: ერთა ლიგა დახმარება ომის მუქარის ქვეშ მყოფ სახელმწიფოს, რამაც მის წინააღმდეგ უნდა შეაკავოს აგრესიული მოქმედებისაგან. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად.

ნამდვილად მდგომარეობა სულ სხვანაირია. პირველ ყოვლისა უნდა გავიხსენოთ, რომ სათანადო წინადადება ერთა ლიგაში ამ რამოდენიმე წლის წინად ფინეთის მთავრობამ შეიტანა. ვისგან მოელის ფინეთი თავდასხმას? არავისაგან. სამაგიეროდ ჩვენ ვიცით, რომ ამ ქვეყანაში არიან წრეები, თვით მის ოფიციალურ ხელმძღვანელთა შორისაც, რომლებიც საბჭოთა კავშირის დამხობაზე ოცნებობენ. ამავე დროს ისინი გაიძახიან, რომ ფინეთს თითქო საბჭოთა კავშირისაგან მოელოდეს თავ...

...ლებით უნდა აღემატებოდნენო. და მართლაც, უკანასკნელი ცნობებით, რომის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ მიმდინარე წელს ააგოს 42,070 ტონის ტევადობის სამხედრო-საზღვაო გემები. ამავე დროს მუსოლინი მუქარით ალავსე სიტყვებს ამბობს, მაგ.: „იტალიაზე თავდასხმა რომ მოხდეს, მთელ ხალხს მეტეორივით მივმართავთ ვის წინააღმდეგ გნებავთ და სად გნებავთ“-ო. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის გამორკვევას, მართლა აყვება დამონებული ხალხი ფაშისტ - დიქტატორს თუ არა. ამჟამად გვაინტერესებს თვით ფაქტი იტალიის მესვეურების საომარი განწყობილებისა. ვის წინააღმდეგაა მიმართული ეს განწყობილება? რა თქმა უნდა, საფრანგეთის წინააღმდეგ. ამას აღიარებს გაზ. „იმპერო“-ც, რომელიც ამას წინად ასეთი ანგარიშით გამოვიდა: „ადამიანს არავითარ ძალას არ შეუძლია,—დიახ, ეს ფრანგებმაც გაიგონ,—„დაამციროს იტალიის უფლებები“-ო. როგორც ვხედავთ, იტალია სერიოზულად ემზადება საფრანგეთთან ომისათვის...

ვ. კ—ლი.

# რა ხდება ადგილებზე

### ყუთფთათვის

ოზურგეთი, 16 მაისი. (საკ. კორ.). ოზურგეთში გაიხსნა საავადმყოფო პელაგრიან ავადმყოფთათვის. საავადმყოფოში მოეწყო 10 საწოლი. სწარმოებს პელაგრიან ავადმყოფების გაძლიერებული კვება. ავადმყოფთა რიცხვს საავადმყოფო ვერ იტევს.

### კომისიის გამოყოფა

ოზურგეთი, 16 მაისი. (საკ. კორ.). სამაზრო აღმასკომში შემოდის დიდძალი განცხადებები, საარჩევნო უფლებასმოკლებულ მოქალაქეთა მიერ, უფლებებში აღდგენის შესახებ. სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია 11 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ამა თუ იმ მოქალაქის პიროვნების შემოწმება.

### 100 პიონერი კურორტზე

ოზურგეთი. 16 მაისი. (საკ. კორ.). კომკავშირის სამაზრკომის ინიციატივით 100 პიონერი იგზავნება ქობულეთში ბანაკად ერთი თვით. სამაზრაღმასკომმა ამ საქმისათვის გადასდო 1.000 მან.

### „5 წლედი ოთხ წელში“

ოზურგეთი, 16 მაისი. (საკ. კორ.). ახალი სესხის „5 წლედი — 4 წელში“ წინასწარი მუშაობა და მისი პოპულიარიზაცია ძლიერ სუსტად მიმდინარეობს. ამიტომ სამაზრაღმასკომმა დაავალა სამფინგანს მუშაობის ფართოდ გაშლა.

### დიდი სეტყვა კახეთში

გურჯაანი, 17 მაისი. (საკ. კორ.) 15 მაისს, ღამით, კახეთის ოლქის მევენახეობის რაიონში მოვიდა ძლიერი სეტყვა. სეტყვამ სავსებით გაანადგურა სოფ. გურჯაანისა და კოტეხის მახლობლათ მდებარე ვენახები. იმისათვის, რომ ამ ვენახებმა ნაყოფი გამოიღონ საჭიროა 3 წელიწადი მაინც.

სეტყვამ ნაწილობრივ დააზიანა აგრეთვე სოფ. ველისციხის, ჩუმლაყის, ზეგანის და სხვა მახლობელი სოფლების ვენახები. დასეტყვილი ვენახების სივრცე აღემატება 600 ჰექტარს.

სახელმწიფო დაზღვევის კახეთის განყოფილება უკვე შეუდგა ზარალის გამორკვევას დაზღვეულთათვის კომპენსაციების დარიგების მიზნით.

გორი, 17 მაისი. (საკ. კორ.). უკანასკნელ დღეებში გორის ოლქში თავი იჩინა კალიამ. კალია მოდებულია მინდვრებზე სოფ. ძეგვიდან უფლისციხემდე. თუ დაუყოვნებლივ არ იქნა ზომები მიღებული, საფრთხე მოელის ყველა ნათესებს, ბოსტნებს და ჭარხლის პლანტაციებს.

კალიასთან საბრძოლველად გამოდიან მთელი სოფლები, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევენ ადგილობრივი აგრონომები. შემჩნეულია კალიასთან საბრძოლველ საშუალებათა სიმცირე. ამ მხრივ საჭიროა დაუყოვნებლივ იქნას მიღებული შესაფერი ზომები.

### ქარიშხალი ქუთაისში

ქუთაისი, 17 მაისი. ღამის 11 საათზე ქალაქზე გადაიარა ძლიერმა ქარიშხალმა, რომელმაც მრავალი ხე წააქცია. სწარმოებს ზარალის გამორკვევა (ადს).

### მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობა

ცხინვალი, 16 მაისი. სოფელ ქსუისის მახლობლად, ცხინვალიდან 8 კილომეტრის მანძილზე, სამხრეთ - ოსეთის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი აწყობს მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობას. საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად მიღებულ იქნა კრედიტი 300000 მანეთის რაოდენობით. უკვე დაიწყო გოსლებისა და სხვა საჭირო შენობების აგება. ამ საბჭოთა მეურნეობისათვის უკვე იძენენ საქონელს სამხრეთ - ოსეთში, ჩრდილოეთ - კავკასიაში და უკრაინაში.

მიმდინარე წელს საბჭოთა მეურნეობამ უნდა გაიჩინოს 600 მეწველი ძროხა. ამჟამად უკვე შეძენილია 200 ძროხა. სექტემბრიდან საბჭოთა მეურნეობა დაიწყებს რძის პროდუქციის გატანას ცხინვალისა და თბილისის ბაზრებზე (ადს).

### გეგმის გადაჭარბება

ქუთაისი, 16 მაისი. აპრილის განმავლობაში ქუთაისის ხე-ტყის ქარხანამ დახერხა 723 კუბიკური მეტრი ხე-ტყე, რაც 20,5 პროცენტით აღემატება გეგმ ს. ხარისთვალის ქარხანამ დახერხა 156 კუბ. მეტრი, ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 86 კუბიკური მეტრისა (ადს).

# ქრონიკა

### დანიშვნა

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა განთავისუფლებულ იქნას თავის მოვალეობიდან ამიერ-კავკასიის სახ. მეურ. უმ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გულოიანი და მის ადგილას დაინიშნოს ამხ. ს. აგამიროვი.

### მეთამბაქოეთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა

ყრილობის მეორე, მესამე და მეოთხე სხდომებზე სწარმოებდა კამათი „ცენტროტაბაკსოიუზის" წარმომადგენელ ამხ. ვოლკოვინსკის მოხსენების გარშემო. კამათის ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

### მუშათა მომარაგება

მუშათა სურსათ-სანოვაგით მომარაგების გაძლიერების მიზნით ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატთან დაარსდა სპეციალური კომისია.

### მონადირეთა სამრეწველო კოოპერაცია

გადაწყდა მოხდეს მონადირეთა კავშირების რეორგანიზაცია. მონადირეთა ახალი ორგანიზაციები მოეწყობა სამრეწველო კოოპერაციის წესების მიხედვით.

### ავტომობილები კოლმეურნეობებს

ამიერ-კავკასიაში სულ გავრცელებული იქნა 52 ავტომობილის ღირებულების ვალდებულებანი. ვალდებულებანი გავრცელებულია მხოლოდ კოლმეურნეობებს შორის. 1 ივნისიდან კოლმეურნეობები მიიღებენ 46 საბარგო და 6 მსუბუქ ავტომობილს.

### სხვადასხვა

◆ სახ. უნივერსიტეტში, 19 მაისს, საღამოს 7 საათზე, თბ. ს. უ. საბჭოთა სამართალის კაბინეტში, თეორიტ. და ისტორიულ წრეების გაერთიანებულ კრებაზე ამხ. გ. ხოშტარია წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის საქართველოში".

◆ სტუდენტთა კრება. დღეს, საღამოს 8 საათზე ს. ს. პ. ი.-ს დიდ სამხაზველოში მოწვეულია სტუდენტთა ურთიერთდამხმარე სალაროს წევრთა საერთო კრება.

### ერთდღიური ლიტერატურული გაზეთი

გამოვიდა და იყიდება ყველგან საქ. პროლ. მწერალთა ასოციაციის ერთდღიური ლიტერატურული გაზეთი „დამკვრელი გაზეთი".

**შინაარსი:** მოწინავე — ბოლშევიკური იერიშით და ბოლშევიკური ტემპებით. **ვ. მაიაკოვსკი** — ბრძანება № 2 ხელოვნების არმიას. **ბენ. ბუაჩიძე** — პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაციისათვის. **ს. ეული** — მაისობა (ლექსი). **ა. სულავა** — პროლეტარული მწერლობა დღეს. მაიაკოვსკის ხსოვნისათვის. **ვ. ლუარსაბიძე** — პოეტი—ჟურნალისტი. **ს. თალაკვაძე** — შტრიხები მაიაკოვსკის ცხოვრებიდან. **ე. ასტვაცატუროვი** — პროლეტარული მწერლობის გამოშურვებისათვის. **გ. ნატროშვილი** — პროლეტარული მწერლობის შემოქმედებითი საკითხები. **დ. ბენაშვილი** — ნეიტრალობის წინააღმდეგ მწერლობაში. **ირ. აბაშიძე** — ტემპები (ლექსი). **ე. პოლუმორდვინოვი** — გრძნობათა გაცვეთა (მოთხრობა). **შ. რადიანი** — თანამგზავრები ახალ ეტაპთან. **ვ. ლუარსაბიძე** — ქართული მწერლობის მემარჯვენე სექტორი. **გალ. ტაბიძე** — პასუხი ზოგიერთ შეკითხვებზე (ლექსი). **ს. ჩიქოვანი** — პოეტის საქმე (ლექსი). **ქ. მელაძე** — კრიტიკულ ხალტურის წინააღმდეგ. **ს. ეული** — პრ. მწერ. ასოციაციის სიწმინდისათვის. **ქ. ბობოხიძე** — მკითხველთა წრეები. **ბ. ბიბინეიშვილი** — სახ. გამომცემლობა საქართველოში. **მ. გოგუაძე** — პოლიგრაფიული წარმოება. **ბ. გორდეზიანი** — წიგნი, როგორც მხატვრული შემოქმედება. **კინო: დავ. რონდელი და ე. სუპატაშვილი** — საქ. რეს. კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაცია და პროლეტ-მწერლობა. **პ. ჩხიკვაძე** — უდავო ხარვეზები კინო მუშაობაში. **კორესპონდენტი** — სახკინმრეწვის გეგმები და საქმე. მხატვრობა, არქიტექტურა, კლუბები, პროვინციაში სახელოვნო მუშაობა, სამკითხველოები და სხვა. **გაზეთი შეიცავს 12 გვერდს და ღირს 20 კაპ. გამოცემა სახელგამის.**

## 420.000 მანეთი კალიასთან საბრძოლველად

ამიერ-კავკასიაში ყოველწლიურად კალია დიდ ზარალს აყენებს სასოფლო მეურნეობას. ზოგიერთ რაიონებში კალია სრულებით ანადგურებს ნათესებს და გლეხები გაწეულ შრომასაც ველარ ინაზღაურებენ.

ეს გარემოება გაითვალისწინა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ და დაადგინა წელს ამიერ-კავკასიაში კალიის წინააღმდეგ აქტიური ღონისძიებების მისაღებად სათანადო საკავშირო ორგანოებიდან დამატებით გამოითხოვოს 420.000 მანეთი.

აქედან აზერბეიჯანს მიეცემა 290.000 მანეთი, საქართველოს—80.000 მანეთი და სომხეთს—50.000 მანეთი.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა, აღნიშნულ თანხის მიღებამდე, ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს სათადარიგო ფონდიდან გასცეს კალიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის პირველ ხანებში საჭირო თანხებ.

## სარძეო პროდუქტების მრეწველობა

დღემდე სარძეო პროდუქტების დამზადებას და მომხმარებლებისადმი მიწოდების საქმეს აწარმოებენ სხვადასხვა ორგანიზაციები, რის გამო ხშირად ადგილი აქვს პარალელიზმს და უგეგმობას.

იგივე გარემოება ხელს უშლის მომხმარებლებს შორის სარძეო პროდუქტების წესიერად განაწილებას და მომარაგებას.

მომავლისათვის ასეთი არანორმალური მდგომარეობის აღმოფხვრის მიზნით და იმავე დროს სარძეო პროდუქტებით მუშათა მომარაგების საქმის გასაძლიერებლად გადაწყდა დაარსებულ იქნას საქართველოს სარძეო პროდუქტების სააქციო საზოგადოება.

საზოგადოება დაარსდება ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან.

საზოგადოებაში შევა მუშკოოპი, ცეკავშირი, მესაქონლეობის კავშირი, ახალციხის აღმასკომი და სხ.

საზოგადოება უშუალოდ უხელმძღვანელებს საქართველოში სარძეო ფერმების, საჭირო ქარხნების მოწყობის და მეძროხეობის განვითარების საქმეს.

საზოგადოების ძირითადი თანხა შეადგენს 700.000 მანეთს.

## სასამართლო

### „ზაკმიასოტორგ"-ის თანამშრომლების საქმე

უზენაესმა სასამართლომ ამხ. **სუფსისპირელის** თავმჯდომარეობით დაამთავრა „ზაკმიასოტორგ"-ში მოკალათებული მავნებელთა გასამართლება.

„ზაკმიასოტორგ"-ის ყოფილ დირექტორის **ქრისტაფორე მელიქს**, რომელიც 1926 წლიდან 28 წლის მარტამდე უკონტროლოდ „განაგებდა" ამ დაწესებულებას, დაუმტკიცდა სამსახურებრივი მდგომარეობის სისტემატიურად ბოროტად გამოყენება, უყაირათობა, რის შედეგად დაწესებულებამ იზარალა 43.329 მანეთი.

**მელიქს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით სასტიკი იზოლაციით და ამავე ვადით წაერთვა საარჩევნო ხმის უფლება.**

მეორე ბრალდებულს **იან რიმარს**, მელიქის ახლო მეგობარ ჩარჩს, რომელიც „ზაკმიასოტორგ"-ის მანდატით სისტემატიურად სპეკულაციას ეწეოდა ხორცის ბაზარზე, **მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით.**

**სიმონ პოღოსოვს**, ამიერ-კავ. დამამზადებელ პუნქტის ყოფილ გამგეს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის, დაკისრებული მოვალეობის დაუდევრად და ზერელედ შესრულებისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით.

ვართან კარაგულიანს 876 მანეთის მითვისებისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით.

**ვერ.**

## ფეხბურთი

### კომუნალური მუშაკები — პოლიტექნიკური ინსტიტუტი

15 მაისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში კომუნალურ მუშაკებსა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს შორის.

მატჩი დამთავრდა კომუნალურ მუშაკების გამარჯვებით 2:0.

### მელითონეები — ტრანსპორტელები

დღეს, 18 მაისს, ლენინის სახელობის სტადიონზე თამაშობენ მელითონეების და ტრანსპორტელების პირველი გუნდები. დასაწყისი 5 საათზე.

## თადარიგის მეთაურთა საყურადღებოთ

ამჟამად თბილისის ოლქის სამხედრო კომისარიატი აწარმოებს თადარიგის იმ მეთაურთა ჯანმრთელობის შემოწმებას, რომლებიც გაწვეულნი იქნებიან ზაფხულის პერიოდში შეკრებაზე გადასამზადებლად.

ქვემოთ ჩამოთვლილი თადარიგის მეთაურები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ თბ. ოლქის სამხ. კომისარიატში (ჯორჯიაშვილის ქუჩა, № 10):

ა. ი. ბაბლოვსკი, ლ. ნ. მატინოვი, ს. მ. ტერ-ავეტისოვი, ს. ი. ლუკაშევიჩი, გ. ქ. დორგაჩოვი, ა. მ. პერტენავა, ვ. ა. კუზნეცოვი, ს. ა. ცოგახკოვი, ი. პ. მალიშევი, ა. დ. ანიშჩენკო, მ. ნ. სიმონია, ს. ი. პოგოსოვი, ი. პ. ქელბაქიანი, ე. თ. დომენია, ე. ნ. ბარამიძე, შ. ი. მურავიოვი, გ. პ. რევიშვილი, გ. ი. ციციშვილი, თ. გ. ნიკოლაევი, მ. ნ. სმირნოვი, გ. ნ. შაშუროვი, ს. მ. ხაჩიკიანი, დ. ე. ჩხეიძე, ი. ა. მეგრელიშვილი, ა. ი. მიროწოვი, ა. ი. ხარაიძე, ტ. ნ. კოჩაკიძე.

## ჭადრაკი

### ვ. გოგლიძის და მაესტრო ნენაროკოვის მატჩი

#### მეხუთე პარტია

მატჩის მეხუთე პარტია თავის მსვლელობით და შინაარსით მთლად არ წააგავს დღემდე გათამაშებულ პარტიებს. ფრანგულ პარტიის წინააღმდეგ მაესტრო ნენაროკოვი ირჩევს ერთ-ერთ გაგრძელებას, სახელდობრ ნიმცოვიჩის, მაგრამ მის გათამაშებას იგი თავისებურად აწარმოებს, რომლის შედეგათ წააგო ორი პაიკი. ამის შემდეგ ნენაროკოვი იძულებული გახდა თავგანწირულ იერიშის მიტანას შესდგომოდა მოწინააღმდეგის მეფეზე მისი დამამათების მიზნით, რაც პირველი შეხედვით მეტად მრისხანეთ გამოიყურებოდა, მაგრამ ფაქტიურად კი სრულიად უსაფუძვლოდ და ამასთანავე უგეგმოთ ვითარდებოდა.

გოგლიძე თვითეულ სვლას ხანგრძლივი მოფიქრების შემდეგ აკეთებდა და მეფის ფრთის გამაგრებასთან ერთად მოიგო მესამე პაიკი ლაზიერის ფრთაზე; ამის შემდეგ იღებს გამსვლელ პაიკს, რასაც პარტიის ბედის გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცემოდა, ნენაროკოვის შეტევის დაძლევის შემდეგ. ამიტომ ნენაროკოვი იძულებული გახდა თავისი ავანტიურა უფრო გაეღრმავებია და წასულიყო ორივე მხედრის შეწირვაზე, რომლის შემდეგ მართალია იღებს ინიციატივას ძლიერი დამუქრებით. მაგრამ ფაქტიურად ეს დამუქრება ადვილად მოსაგერიებელი ხდებოდა. სწორედ იმ დროს, როცა მაესტროს ავანტიურამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. გოგლიძეს დრო შემოაკლდა. 1 წუთში უნდა გაეკეთებინა 6 სვლა. 5 სვლას გოგლიძე აკეთებს მართალია არა საუკეთესოს, მაგრამ საკმაოს პარტიის მოსაგებათ, მეექვსე; უკანასკნელ საკონტროლო სვლაზე იგი უშვებს უხეშ შეცდომას, რომლის შედეგათ რამოდენიმე სვლის შემდეგ აგებს ლაზიერს და ნებდება.

ამრიგათ მატჩის მდგომარეობა მე-5 პარტიის შემდეგ ასეთია: +3—2 გოგლიძეს სასარგებლოდ.

დღეს, 18 მაისს ხელოვანთა სასახლეში საღამოს სრულ 6 საათიდან გაითამაშება მატჩის მეექვსე პარტია. გოგლიძე თამაშობს თეთრებით.

## შემთხვევები

### გაძარცვა

16 მაისს, სოფ. ტაბახმელას ახლო, 2 შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა მანგლისში მიმავალ გლეხებს: გარეჩკინს და ზაიცევს, რომლებიც გაძარცვეს და მიიმალნენ.

### შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა ჯიბგირები ფაილაქ არუთინის ძე არუთინოვი (უბინაო), დარჩისალა ტატარინი და მანუკ აკოფიანცი.

### ქურდობა

გიორგი ბეგლაროვის ბინიდან (კამოს ქ. № 85) მოიპარეს 280 მანეთი,—გაქურდეს კონსტანტინე სირაძის ღვინის სარდაფი.—16 მაისს ღამით გაქურდეს რუსთაველის პრ. მდებარე (№ 10), მუშკოოპის სასადილო, საიდანაც წაიღეს 287 მანეთი.

## მეცნიერება და ტეხნიკა

### მოლაპარაკე ატომები

ჟურნ. „ხ. ვ. ზ." (№ 3) ცნობით, რამდენიმე ხნის წინათ ამერიკის ერთმა რადიო-სადგურმა თავის მსმენელებისათვის არაჩვეულებრივი გადაცემა მოაწყო. ყველა რადიო-მოყვარულთ, რომლებმაც თავიანთი მიმღები აპარატები მომართეს ამ სადგურის ტალღაზე, საშუალება ჰქონდათ დროის განსაზღვრული შუალედის განმავლობაში ესმინათ ხმები, რომლებსაც მატერიის ატომების მოძრაობა წარმოშობს.

ეს უჩვეულო გადაცემა შემდეგნაირად მოაწყვეს: გადამცემი რადიო-სადგურის მიკროფონის წინ დადგმული იყო სპეციალური აპარატი, რომელსაც მისი გამომგონებლის სახელის მიხედვით უწოდეს რეიგერის აპარატი.




რეიგერის აპარატი ლქპუყ

რათა მკითხველისათვის ნათელი შეიქნეს ამ გადაცემის ტეხნიკა, უნდა გავიხსენოთ, რომ ყველა რადიოაქტიური ნივთიერებანი განუწყვეტლივ იშლებიან და ამ დაშლის პროცესში გამოჰყოფენ ელექტრონით დატენილ ალფა-ნაწილაკებს, რომლებიც წამში 1.500 კილომეტრის სისწრაფით მოძრაობენ.

რეიგერის აპარატის ფანჯარასთან, რომელზედაც გადაკრული იყო ნიკელის თხელი ფირფიტა, ათავსებდნენ რადიო-აქტიური ნივთიერების ნაჭერს (ამ შემთხვევაში—ურანისას), ალფა-ნაწილაკები, რომელთაც ურანი გამოჰყოფდა, რეიგერის აპარატის ნიკელის ფანჯრით მისწრაფოდნენ პატარა (საიონიზაციო) კამერაში, რომელიც გაზით იყო გავსებული. აქ სწრაფად მოძრავი ურანის ალფა-ნაწილაკები ეჯახებოდნენ კამერაში დაგროვილ გაზის ატომებს, აიონებდნენ მათ და ამ დროს იწვევდნენ სწრაფ ელექტრო-მაგნიტურ რყევებს, რომლებიც ჩქარა წყდებოდა (და ახლდებოდა). კამერასთან შეერთებული იყო მძლავრი ლამპიანი გამაძლიერებელი, რომელიც ამ ელექტრო-მაგნიტურ რყევებს რამდენიმე მილიონჯერ აძლიერებდა და ამრიგად გასაგონათ ხდიდა ჩვეულებრივ ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატში.

უშუალოდ მიკროფონის წინ დადგმული იყო სწორედ ასეთი გამაძლიერებელი, რომელიც გადასცემდა ატომების დაჯახების შედეგად წარმოშობილ ხმებს. ეს ხმები წააგავს სუსტი აფეთქების ხმებს, რომელთა სიხშირის გამორკვევა შეიძლებოდა რადიო-აქტიურ ნივთიერების ფანჯარასთან მიახლოებით ან ფანჯრიდან დაშორებით. რამდენად დიდი იყო მანძილი ფანჯრისა და რადიო-აქტიურ ნივთიერებას შორის, მით უფრო იშვიათად ისმოდა ხმები და მით უფრო ადვილად შეიძლებოდა მათი დათვლა.

ატომების დაჯახების გამოთვლის ამგვარ მეთოდით (ხმების მიხედვით) დიდის წარმატებით სარგებლობენ რადიო-აქტიურ ნივთიერებათა გამოსარკვევად მადანში ან სხვა რაიმე მასალაში.

### ქაღალდი, რომელიც არ იხევა და არ იწვის

ერთმა შვეიცარიელმა მეცნიერმა აღმოაჩინა საშუალება ისეთი ქაღალდის დამზადებისა, რომელიც არ იხევა და არ იწვის. ამ წესის მიხედვით, ხის მასას, რომლიდანაც ქაღალდს აკეთებენ, პულვერიზატორების საშუალებით აყრიან ალუმინის ან თუთიის ფხვნილს.

ამგვარი მასიდან დამზადებული ქაღალდი არაჩვეულებრივად მაგარია. ამ ქაღალდით სარგებლობენ ფულების, სალერბო და სხვ. სახელმწიფო ქაღალდების დასამზადებლად იგი მშვენივრად ითვისებს საღებავებს და წყალის ნიშნებს და არ იწვის ცეცხლში.

## რადიო-გადაცემა

### კვირა, 18 მაისი

10 კილოვატიანი რადიო სადგურის საშუალებით გადაცემული იქნება 10 ს.—10 ს. 50 წ. საბავშო ლიტერატურულ-მუსიკალური დილა; 10—50—11—30 გადაცემა სოფლისათვის. აგრონომის საუბარი ქართულ ენაზე. ექიმის საუბარი ქართულ ენაზე; 11—30—13 პოპულიარული კონცერტი სოფლისათვის; 13—13—25 საერთაშორისო და შინაური მიმოხილვა ქართულ ენაზე; 13—25—15 კონცერტის გაგრძელება; 18—18—30 კომკავშირული რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; 18—30—19—45 ფიზკულტურის ამიერ-კავკასიის რადიო-მიტინგი (ერევანი—ბაქო—თბილისი); 19—45—20—10 ლექცია ციკლიდან „საბჭოთა პედაგოგის დასახმარებლად" ქართულ ენაზე; 20-15—20-40 საერთაშორისო და შინაური მიმოხილვა რუსულ ენაზე; დროის შემოწმება; საქ. გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები; რეკლამა;

## ოფიც. განყოფილება

### დადგენილება

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

**„ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არამშრომელი კატეგორიების პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლების თაობაზე" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების მე-8 მუხლის შეცვლის შესახებ**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-8 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილებისა" ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მოსახლეობის არამშრომელ კატეგორიების პირთა ცხოვრების შეზღუდვისა და იმავე სახლებიდან ყოფილ მფლობელთა გამოსახლების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 8. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — **ს. თოდრია.**

1930 წ. აპრილის 26
თბილისი — სასახლე.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) ცკას კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 18 მაისს, დილის სრულ 11 საათისათვის მოწვეულია თათბირი მუშფაკების შესახებ.

თათბირს აუცილებლათ უნდა დაესწრონ: ამხ. მარიამ ორახელაშვილი, ვაშაძე (საქ. ფინსახკომი), მთვარელიძე (პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო), ალაგერდიანი (რუსულ-სომხური მუშფაკი), კაჭახიძე (ქართ. მუშფაკი) და მახარაძე (განათლების სახ. კომისარიატის ეროვნულ უმცირესობათა განყოფილება).

—:—

დღეს, შუადღის 2 საათზე მოწვეულია ს.ს. პ.ი. სამეურ.-ტეხნ. საზოგადოების საირიგაციო სექციის ბიუროს სხდომა.

კვირას, 18 მაისს სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბის შენობაში (რუსთაველის 21) მოწვეულია ს.ა.ლ.კ.კ. თბილისის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

კომკავშირის თბილისის საოლქო კომიტეტის პლენუმის წევრებისა და მსხვილი საკომკავშირო უჯრედების მდივნების დასწრება სავალდებულოა.

—:—

**დღეს, 18 მაისს, საღამოს 8 საათზე ს.ს.პ. ინსტიტუტის დიდ სამხაზველოში შესდგება მექანიკური ფაკულტეტის არა მორიგი კომკავშირის კრება, რომელზე დასწრებაც ევალებათ კომკავშირელებსაც.**

## გლეხკომებში

### ქუთაისის ოლქის გლეხკომების გამოკვლევა

საქ. ცენტრალურმა გლეხკომმა ქუთაისის ოლქის გლეხკომების მუშაობის გამოსაკვლევად ქუთაისში მიავლინა თავისი ინსტრუქტორი.

### დახმარება მოჯამაგირეებს

საქ. ცენტრალურმა გლეხკომმა საოლქო და სამაზრო გლეხკომებს დაუგზავნა ცირკულიარი მოჯამაგირეების დასახმარებლად 7.000 ფუთი ხორბლეულის გლეხკომების ფონდებიდან შეგროვების შესახებ.

### ცენტრ. გლეხკომის პლენუმი

საქ. ცენტრალურ გლეხკომს განზრახული აქვს ამ მოკლე ხანში მოიწვიოს ცენტრალური გლეხკომის პლენუმი.

### გაუქმებულ გლეხკომების აღდგენა

საქ. ცენტრ. გლეხკომი ამჟამად ამუშავებს საკითხს ადგილებზე გაუქმებულ გლეხკომების აღდგენის და ჩამორთმეულ ქონების დაბრუნების შესახებ.

## საჭირო განმარტება

გაზ. „კომუნისტი"-ს მე-105 ნომერში მოთავსებული იყო ი. კვირიკაძის წერილი სათაურით: „ძმაბიჭების დამხმარე", რომელიც ეხებოდა სახ. უნივერსიტეტის ეკ. ფაკულტეტის პროფკომის თავმჯდომარეს ამხ. მ. პირველს. წერილის შინაარსის გამოსაკვლევად უნივერსიტეტის აღმასრულებელმა გამოჰყო კომისია. კომისიამ სცნო:

წერილში აღნიშნული ბრალდება იმის შესახებ, რომ ამხ. პირველს შუამდგომლობა აღუძრავს საამრეწველო კურსების გამგის წინაშე სტუდენტ ლორთქიფანიძის დის კურსებზე მიღების შესახებ დადასტურდა, მაგრამ კომისიის დასკვნით ამის უფლება პირველს ჰქონდა.

ბრალდება იმის შესახებ, რომ ამხ. მ. პირველმა მისცა ლორთქიფანიძეს დახასიათება სხვადასხვა ორგანიზაციების სახელით, დადასტურდა, რაც კომისიას მიაჩნია შეცდომათ და არა ბოროტმოქმედებათ.

რაც შეეხება დანარჩენ ბრალდებებს, კომისიის გამოკვლევით ეს ბრალდებები არ დადასტურდა.

**კომისია.**


**სახელმწიფო ოპერა**

კვირას, 18 მაისს მე-16 აბონემენტის მე-4 წარმოდგენა დღისით

**ი. ს. კოზლოვ კის კონცერტი** სახელმწიფო ოპერის სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით, დირიჟორი სახ. არტ. ი. პ. ფალიაშვილი

იმ აბონენტებმა, რომელთაც საშუალება არა აქვთ დაესწრონ კონცერტს, უნდა განაცხადონ თეატრის სალაროში არა უგვიანეს დღის 2 საათისა, რის შემდეგაც ადმინისტრაცია არავითარ პრეტენზიებს აღარ მიიღებს.

**კონცერტის დასაწყისი დღის 3 საათზე.**

მე-15 აბონემ. ტალონების პატრონთ შეუძლიათ გამოიყენონ ისინი კონცერტზე, რისთვისაც წინასწარ უნდა აღინიშნოს ადგილი სალაროში № 1, 11 საათ. 3 საათ.

ნ. 755

**საქართველოს სახკინმრეწვი აცხადებს ღია კონკურსს**

მხატვრული კინო სურათის ლიბრეტოზე (სცენარზე)

1. ანტირელიგიურ თემაზე 2. ფიზკულტურის თემაზე

კონკურსის პირობები:

1. ორივე ლიბრეტოს მასალას უნდა წარმოადგენდეს საბჭოთა კავშირის ოქტომბრის შემდგომი ეპოქა.
2. ლიბრეტო დაბეჭდილი უნდა იყოს საბეჭდი მანქანით ფურცლის ერთ გვერდზე და ზომით არ უნდა აღემატებოდეს საწერი ფორმატის 8 გვერდს.
3. ლიბრეტოები უნდა გადმოიგზავნოს ფოსტით შეკვეთილი წესით შემდეგი მისამართით: სახკინმრეწვი, პლეხანოვის პრ., № 164, კონკურსის ჟიურის მდივანს.
4. ლიბრეტოს წარმოდგენის (ფოსტის ქვითარის) ვადაა ა. წ. 15 ივლისი.
5. ლიბრეტო უსახელო, ხელმოუწერელი უნდა იყოს, მაგრამ აღნიშნული უნდა იყოს დევიზით, ხოლო დევიზი უნდა წაეწეროს კონვერტს, რომელიც შეიცავს ავტორის გვარს და დაწვრილებით მისამართს.
6. ჟიურის გადაწყვეტილებისათვის ვადა განსაზღვრულია ერთი თვით, ჟიურის გადაწყვეტილებები ამავე ორგანოში გამოქვეყნდება.
7. ჟიურის შემადგენლობაში შედის 7 წარმომადგენელი: 2 სახკინმრეწვის გამგეობიდან, 1—სამხატვრო პოლიტსაბჭოდან, 1—პროლეტარულ მწერლებიდან, 1—ხელოვნების საქმეთა მთავარ სამმართველოდან, 1—პროფსაბჭოდან, 1—ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოდან (ფიზკულტურის თემისათვის) და 1—ულმერთოთა კავშირიდან (ანტირელიგიური თემისათვის).
8. ჟიური დააჯილდოებს სამ ანტირელიგიურ და სამ საფიზკულტურო ლიბრეტოს. საუკეთესო ლიბრეტოებისათვის დანიშნულია შემდეგი ჯილდოები:

1 ჯილდო — — 1.500 მანეთი
2 ჯილდო — — 1.200 მანეთი
3 ჯილდო — — 1.000 მანეთი

9. დაჯილდოებული ლიბრეტოები სახკინმრეწვის საკუთრებად ხდება.
10. სახკინმრეწვი იტოვებს უფლებას შეიძინოს დაუჯილდოებელი ლიბრეტოები მასალის სახით გამოსაყენებლად—შეთანხმებით.
11. ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართოთ საქართველოს სახკინმრეწვის სახცენარო განყოფილებას.

ნ. 759 **საქართველოს სახკინმრეწვის გამგეობა.**

**საქართვ. წითელი ჯვრის**
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყ. გერმანელების)
**საავადმყოფო და პოლიკლინიკა**
კამოს ქ. № 54, სანაპირო № 15—ტელეფ. № 9—17, 21—99.

საავადმყოფოს განყოფილებები:

ქირურგიული განყ. — — გამგე პროფ. ა. მაჭავარიანი.
თერაპევტიული „ — — „ პროფ. ა. ალადაშვილი
სამეანო „ — — „ პროფ. ი. თიკანაძე
გინეკოლოგიური „ — — „ პროფ. გ. ღამბარაშვილი
ყურის, ყელის და ცხვირის განყოფ. გამგე ნ. ასპისოვი.
ლაბორატორია — — — „ ექ. ექ. ი. ხათრიძე, ენ. ფალიაშვილი და ვ. ჩიგოგიძე,
მიიღება ყოველგვარი ანალიზები (სეროლოგიური და ბაქტეროლოგიური Wassermann-ის რეაქცია და სხვა)
რენტგენის კაბინეტი — — — ექიმი გ. ნაზარაშვილი.

პოლიკლინიკა:

ზემოჩამოთვლილ დარგების კაბინეტებში კონსულტანტებათ არიან იგივე პროფესორები: 11 ს.—1 ს.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს — პროფ. გ. მუხაძე
კვირაში სამჯერ: სამშაბ., ხუთშაბათობით და შაბათობით 2—3 ს.
მედიც. დოქ. ნ. ვეხელვზოროვი 2—3, ორშაბათი, ოთხშაბ., პარასკევი.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს ექ. გ. ჩაჩიკიანი 3—5 საათამდე. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.
თერაპევტიულ კაბინეტში — — პროფ. შ. მიქელაძე 2—4 საათამდე. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
შინაგანი, ბავშთა ტუბერკულიოზი ექ. ი. ტ. ვორობიოვი 4—5 საათ.
გინეკოლოგიურ კაბინეტში ღებულობს ექ. ი. თუმანიშვილი 4—6 ს.
უროლოგიურ კაბინეტში — დოცენტი ა. წულუკიძე 2—4 საათამდე,
ტუბერკულიოზის კაბინეტში — დოცენტი ი. აბაკელია 11—1 საათ.
ყელი, ყური და ცხვირის კაბინ. 9—11 ექ. დ. ჯაფარიძე, 11—1 ექ. დ. თევზაძე. 3—4 პროფ. ნ. ასპისოვი.
თვალის სნეულებათა კაბინეტში პროფ. ვ. მუსხელიშვილი 1—3 საათ.
ვენერიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. ა. ჯავრიშვილი 4—6 საათ. ექ. თოფურიძე ვენერიულ სნეულებ. 4—6 საათ.
ნერვიულ სნეულებ. კაბინეტ. მიიღებს პროფესორი ს. ყიფშიძე 3—4
„ პროფ. მ. წინამძღვრიშვილი 2—3 საათ. ორშაბათი. ოთხშაბათი და პარასკევი.
ნერვიულ სნეულებათა კაბინ. პროფ. ს. ყიფშიძე 2—3 ს. ყოველ დღე.
ბავშთა ავადმყოფობის კაბინეტში ექ. მ. უგრელიძე 2—4 საათამდე.
კუჭ-ნაწლავების დაავადებანი ექ. ი. მეძღლიშვილი 2—4 საათამდე.
კბილის სნეულებათა კაბინეტში ექ. ვ. ტოტვენი 12—3 საათამდე.
პოლიკლინიკაში არსებობს ფიზიო თერაპევტიული კაბინეტი, სადაც სწარმოებს ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობა.

პოლიკლინიკაში ავადმყოფებს გადახდებათ ერთი მან.

ა. წ. 10 მაისს დადებული ხელშეკრულებით **ტრესტ „მკერავი"-ს სპეკტანსაცმლის** რეალიზაცია გადაეცა საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობასთან არსებულ **მრეწველობისა და მშენებლობის მომარაგების სამმართველოს,** რომელსაც გადაეცა შესასრულებლად „მკერავის" ყველა ხელშეკრულებები და გარიგებები.

ყველა შეკითხვები და მოთხოვნები სპეცტანსაცმლის შესახებ უნდა გაეგზავნოს მრეწველობისა და მშენებლობის მომარაგების სამმართველოს მისამართით: თბილისი, კეცხოველის ქ. № 5.

ტრესტი „მკერავი" მახარაძე.

ნ. 754 მრეწმშენმომარაგება ლაზარევი.


### ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ

— პირად. მოწმ. № 38—ვერა კუკულაძის სახელზე. 2620
— კავშ. წიგნ. № 17085—თინა დრიაშვილის სახელზე. 2617
— კავშ. წიგნ. № 22343—თინა ივანეს ასული მაჩაბლის სახელზე. 2618
კავშ. წიგნ. № 33727—ლავრენტი გიორგის-ძე მეცველაძის სახ. 2621
— პირად. მოწმ.—ნიკოლოზ სიმონის-ძე მაღალოვ—გაბუნელაშვილის სახელზე. 2624
— პირად. მოწმ. № ტ/88—ვასილ ტატანაშვილის სახელზე. 2625
— მუშკოოპ. წიგნ. № 22911, პურის წიგნ. ლ. „ბ" და „გ"—ზ. პაიჭაძის სახელზე. 2634
— მუშკ. წიგნ. და პურის წიგნ.—დერენიკა სარქისოვას სახელზე. 2634
— მუშკ. წიგნ. და პურის წიგნ.—მარია სარქისოვას სახელზე. 2634
— „ცეომარი"-ს წიგნ.—ნიკოლოზ ადამოვის სახელზე. 2633
— პურის წიგნ.—ნადია დავითის ასული საგარეჯიშვილის სახელზე. 2632
— პურის წიგნ. № 4984, № 8874—იასონ ღოჩიძის სახელზე. 2637
— პურის წიგნ. № 17451—მარიამ ძარგველიშვილის სახელზე. 2638
— 7-წლედ. დამთავრ. მოწმ. რეკომენდაციით № 59—სიმონ გუგუნავას სახელზე. 2639


**გან. სახ. კომ. აზერბეიჯანის გასართობი დაწესებულებების სამმართველო**

**დილის ორი ღია წარმოდგენა** შაბათს, 24 მაისს, პრემიერა. კვირას, 25 მაისს მხტ. 1-ს უკანასკნელი დადგმა

**რეკლამა („ჩიკაგო")**

ეს წარმოდგენები დილით მხოლოდ ორჯერ დაიდგმება იმის გამო, რომ თეატრი თბილისში რჩება მოკლე ვადით.

18 მაისისათვის აღებული ბილეთები 24 და 25 მაისის ბილეთებზე გადაცვლა სწარმოებს თეატრის სალაროში.

29 მაისს „მეფე თედორე იოანეს-ძე" დარჩენილი ბილეთები თეატრის სალაროში.

მხტ. 1-ის შესახვედრად (vertical)

| | | | |
|---|---|---|---|
| **აპოლო** 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. | დადგმის მე-2 კვირა მხატვრული ფილმი **შიში** სტეფან ცვეიგის რომანის მიხედვით 19 მაისიდან—მეჭიანური ფლორენციიდან | **პალასი** 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ. | სეზონის საუკეთესო კომედია **დიდედების ამბოხება** 19 მაისიდან—დადგმა გრძელდება. |
| **სპარტაკი** ყოფ. არტისტო | მხატვრული ფილმი **ცეცხლის ტრანსპორტი** 19 მაისიდან—დადგმა გრძელდება. | **რ. ლიუქსემბურგის სახ.** (ყოფ. მინიონი) | მხატვრული სურათი **შავი ფრთის კვეშ** რეჟისორი ბარხუდაროვი. 19 მაისიდან—დადგმა გრძელდება. |
| **სოლეი** 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. | დადგმის უკანასკნელი მე-5 კვირა **ბიძია თომას ქოხი** 19 მაისიდან—ეკლიანი მავთული. | **დარბაზი** 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ. | გაროლდ ლოიდის კომედიაში **ექიმი ჯეკი** პროგრ. გარეშე ცნობილი მომღერლის ხერაფიმა შუბალოვას გასტროლები 19 მაისიდან—ბ ვ ა ლ ა მ დ ე |

**კინო-აპოლო**
19 მაისიდან
კონრად ვეიდტი და ელისაბედ ბერგნერი
მხატვრულ სურათში
**მეჭიანური ფლორენციიდან**
ნ. 760


### ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:


**პ. ს. ფონ-ირტელი** პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედნის მახლობლად). სპეციალურად საშარდ-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურობის, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილიდა ხიმსიების მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—19

**ქ. ქუთაისი თ. ვ. აკოფაშვილი** შინაგანი სნეულება—სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7, (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით). 13—1

**ნინო მირიანაშვილი** ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს ტრიპერი, სიფილისი, შესხმა „914" (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

**ი. ი. გერიშვილი** ვენერიული, საშარდ-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სახტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

**ა. ვ. მიქაბერიძე** პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და ტანის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დახაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

**დ. ს. რიჟინაშვილი** კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ.-კუთხე. ტელ. 25—68. 25—2

**ლოგოპედი ა. ა. კაიშაური** ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენასლუკებს, ბუტბუტებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—

**ი. ვ. ხანდამოვი** იღებს სპეციალურად სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: 8—11 საათამდე დილით და 6—8 საათამდე საღამოს, ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. საპიორის). 25—1

**პ. ი. ჯალალოვი** ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალების და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

**ნ. კონტოროვიჩი** თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილინსკის ქ. № 1. აღმასკომის ქ. კუთხე. თმის, ფერის მშიელის, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის ზუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

**დ. ლ. თევზაძე** ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონხოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. პონტაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სიღოღ. ტელ. 25—73. 25—1

**ბ. ნ. ონანოვი** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი; სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1


ღრმად მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ექ. სერგო ივლიანეს ძე და ლიდა (ბუთულა) პორფირეს ას. ჩახუნაშვილები—შვილი ოთარით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 16 მაისს უდროოდ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი, უსაყვარლესი შვილი

**პატარა თამაზ ჩახუნაშვილი**

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე, საღ. 7 საათ. გამოსვენება ბინიდან, პასტერის ქ. № 3, სამშაბათს, 20 მაისს დღის 4 ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2—1 (შ)

უზომო მწუხარებაში მყოფნი მამა იასონი, დედა ანიჩკა, ბაბუა მიხეილი, ბებია ელისაბედი, ბიძები კოლია, აბესალომი და გიორგი, მამიდა მარიამი ვაშაკიძეები იუწყებიან, რომ 15 მაისს, სოფ. დიდ-ჯიხაიშში უეცრად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და ძვირფასი

**პატარა თინიკო**

დაკრძალვა ს. დიდ-ჯიხაიშში კვირას, 18 მაისს, ქაშვეთის სასაფლაოზე. 2630

დამწუხრებულნი მშობლები: ანგელინა და სოკრატი ძიმისტარიშვილები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ დღეს, 6 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათი დაუვიწყარი და მუდამ ძვირფასი პატარა

**ელეონორა (ნორიკო, დოდუშა) ძიმისტარიშვილის**

ხსოვნის აღსანიშნავად. 2619

დამწუხრებულნი მშობლები: სამსონ და თამარა თავყელიშვილები, ძმები: გიორგი და ოთარი; ბიძა ალექსანდრე თავყელიშვილი ოჯახობით და ბიძა დავით თუმაშვილი ოჯახობით, ბიძაშვილები: ლეუშა და ანეტა დავითაშვილები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 16 მაისს გარდაიცვალა მე 8 შრომის სკოლის მოწაფე

**ალექსანდრე (შურა) სამსონის-ძე თავყელიშვილი**

გამოსვენება რკ. გზ. საავადმყოფოდან დღეს, 3 საათზე ბინაზე. დაკრძალვა ორშაბათს, 19 მაისს, 3 საათზე, ვერის ახალ სასაფ. 2635

ქალ. თბილისის მე 8 შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭო და მოწაფეთა თვითორგანიზაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე სკოლის მოწაფის

**ალექსანდრე თავყელიშვილის**

უდროოთ გარდაცვალების გამო. გამოსვენება 19 მაისს, დღის 4 საათზე, იმედილოვის შესახვევი № 6. 2627

ქ. თბილისის ელექტროტექნიკური სპეც. კურსების და მასთან არსებულ მე-8 შრომის სკოლის პირველი „ბ" კურსის მოწაფეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამავე კურსის მოწაფის

**ალექსანდრე თავყელიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 19 მაისს, 4 საათზე, იმედილოვის შესახ. № 6. 2629

დამწუხრებულნი მშობლები: ისიდორე და ლიზა, ძმები შალიკო და ოთარი ბარამიძეები. ბებია და ბაბუა იოსებ და კატო შვილებით თევზაძეები, ბიძები: ილია, ბიქტორ და აკაკი თავისი ცოლშვილით, იუწყებიან, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი მე-33 შრომის სკოლის მე 6 ჯგუფის მოწაფე

**შოთა ისიდორეს-ძე ბარამიძე**

დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 20 მაისს. გამოსვენება ბინიდან ექიმის ქუჩა მე-2 შესახვევი № 4. 2640


**ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი**

მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).

**მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური**

მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობა, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენო-რადიო-თერაპია, ინჰალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა

შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.) ნერვიული და ქალის სნეულებანი.

კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. ღამბარაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. ექ. ი. კონიაშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ.—11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე | ავადმყოფთა ჩაწერა დილის 9-დან 11 საათამდე.

საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ხაზ. საათამდე, კვირას გარდა.

ნერვიულ ავადმყ.—7—8 საათ. პროფ. ს. ყიფშიძე—ყოველდღე.
შინაგან სნეულ.—5—6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე—ყოველდღე.
ქალის სნეულ. სამშაბ—5—6 საათ. ექ. ხუბაბნენსკი—ყოველდღე.
ყურის, ყელი, ცხვირი 7—8 საათ. პროფ. ნ. ასპისოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ.
უროლოგია და ქირურგია 7—8 საათ. დოც. ა. წულუკიძე ყოველდღე.
ბავშთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.

ქირა ავადმყოფთა განისესათვის პოლიკლინიკაში: პროფესორთან წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.

ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიური ანალიზების მიღება. მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87.

25—5 ნ. 733.


მოგვიკვდა საყვარელი

**პატარა ლევანიკო**

რასაც გაუბედურებული მშობლები მიშა და ფატუშა მენაბდეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს. დაკრძალვა ქ. ოზურგეთში. (შ)

თავზარდაცემულნი: დედა ნაიკო, მამა თედორე, ძმა ვალოდია და დაი ნინა ცხომელიძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მათი საყვარელი და დაუვიწყარი

**თამრიკოს**

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე კალოუბნის ქ. № 8. დაკრძალვა სამშაბათს 20 მაისს ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან, კალოუბნის ქ. 8. 4 ნახ. საათ.

დამწუხრებულნი: ქმარი სეიგო, მაზლები მიხაკო და გრიგოლ დოლიძეები და ბარბალე ქმრით და შვილი ვახტანგით იუწყებიან, რომ 16 მაისს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**თამარ ვლად. ხუნდაძის ას. დოლიძისა**

გამოსვენება დღეს, 4 საათზე ქალაქის 1 კლინიკ. ინსტიტუტიდან კამოს ქუჩა № 103, დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 2631

სამტრედიის რკ. გზ. მე II შრომის სკოლის პედ/საბჭო და მშობელთა წრე მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე სკოლის დამსახურებულ თანამშრომლის ამხ. სილბისტრო ხუნდაძის მეუღლის

**ლიუდი (ალექსანდრა) კონსტანტ. ას.**

გარდაცვალებას. ნ. 758

უახლოესი მეგობრები: საშა და გიორგი ჭაჯაიები, პეტრე და გიორგი თოფურიები, ილია და ვახტანგი ჭეიშვილები და ლადო ალასანია უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამენ მათთვის დაუვიწყარ

**შოთა ქორიავას**

გარდაცვალების გამო. 2636

გაუბედურებული მშობლები ჟორჟი და დათიკო, ბებია მართა, ბიძები: გედევანი, ბიძინა და შალვა, მამიდა ნინა და ბიძია იაკობ რუხაძე იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

**გეჟანი (ბეჟუკი) ქუთათელაძე**

დაკრძალვა საფირჩხის სასაფლაოზე დღეს, 18 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, აგურის ქ. № 3. ნ. 756

გულდათუთქულნი აღმზრდელი ბებია პოლია წულუკიძისა, ბიძა ბონდო წულუკიძე ოჯახობით, დედა მათუა გოგობერიძისა და ბიცოლა ლიდა წულუკიძისა იუწყებიან მათთვის ძვირფასი

**გეჟან (ბეჟუკი) ქუთათელაძის**

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება 18 მაისს, 4 საათზე, აგურის ქუჩა № 3. ნ. 756

გრიგოლ იოსების ძე კაჩუხაშვილი მეუღლე ემათი და შვილი შოთათი, როზალია იოსების-ძე ფილტრეული ქმრით გიორგით და შვილებით და ივანე იოსების-ძე კაჩუხაშვილი მეუღლე თამარით და შვილი სოფოთი აუწყებს ნათესავებს და ამხანაგებს მათი დაუვიწყარი დის

**მარიამ იოსების ას. ასლანიშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება ვარდისუბნის ქუჩა, № 14. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე, 18 მაისს, საღამოს 5 საათზე. ნ. 762

იაკობ ივანეს-ძე ნიკოლაძე ცოლშვილით, ანნა გრიგოლის ასული ქვანია ქართველიშვილით და სოფია გრიგოლის ასული ქართველიშვილით, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 16 მაისს გარდაიცვალა პირველის დედა და მეორეების დიდედა

**ნატალია აღას ასული ნიკოლაძისა**

დაკრძალვა ქუთაისში კვირას, 18 მაისს. ნ. 761

მეუღლე სიმონ ტაბიძე, შვილები: შალიკო და თამარა ტაბიძეები, რძალი თამარა ბახტაძე აუწყებენ ამხანაგებს, მეგობრებს და ნათესავებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

**მარიამ (მაშიკო) ტაბიძე**

დაკრძალვა ქ. ხონში, დღეს, 18 მაისს. 3—3

დამწუხრებულნი მეუღლე ოლღა დიმიტრის ასული აბულაძისა, შვილები: თამარა, ელენე, ნიკოლოზ, ლიდა და სიდა, სიძე ლიპარიტ ჯობაძიძე და შვილიშვილი ლილია, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, მეუღლის, მამის, სიმამრის და ბაბუის

**ვასილ ნიკოლოზის ძე აბულაძის**

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 საათზე. დაკრძალვა 19 მაისს, 5 საათ. (ბელინსკის ქ. № 9) ვერის ახალ სასაფლაოზე.

დამწუხრებულნი დები ვერა ნიკოლოზის ასული ბაქრაძისა და ანასტასია ნიკოლოზის ასული მესხისა შვილებით, რძლებით და სიძეებით, ელენა ეფრემის ასული ვირსელაძისა ქართველიშვილი იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ძმა და ბიძია

**ვასილი ნიკოლოზის-ძე აბულაძე**

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 საათზე ბინაზე, ბელინსკის ქ. № 9 გამოსვენება 19 მაისს, 5 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.

ტირაჟი—56.414 საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 904